

გაზეთი ბეჭდის, „ვერსიი“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№80 (1106) 17 - 19 ივლისი, 2015 წელი

ყურადღება! ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტო გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს ანალოგური საეთერო სიგნალის ეტაპობრივი გათიშვა.



18 ივლისს, დილის 10:00 საათიდან, ქუთაისში, ტყიბულში, ცაგერში, ფოთში, ჩოხატაურში, ოზურგეთში, ზესტაფონში, მარტვილში, სამტრედიისში, ხონსა და სენაკში ქართული ტელეპროგრამების ღია ეთერით მიღება მხოლოდ ციფრულ ფორმატში იქნება შესაძლებელი. ამასთან გაითიშება აბაშის, ბაღდათის, განის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თერჯოლის, ლანჩხუთის, მარტვილის, ოზურგეთის, სამტრედიის, სენაკის, ტყიბულის, ქობულეთის, ჩოხატაურის, წყალტუბოს, ხარაგაულის, ხობისა და ხონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადაცემები. სხვა რეგიონების გათიშვის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეეთერის, ცხელი ხაზის (1480), პრესისა და ვებ-გვერდის www.digitaltv.ge-ს საშუალებით.

სასამართლომ პრეზიდენტს მძღოლი დაკითხა



რაცომ შეცვალა მანქანა და დაითხოვა მძღოლი, ვინ მიიყვანა კონსპირაციულ ბინაში ბურაბ ჟვანია

სამსახურში რეკორდული სასამართლო პროცესიდან

ნილო ქადაგიძე-ჟვანიას ჩვენება

„ნავთობკომპანიებს კანონი „კონკურენციის შესახებ“ არ დაურღვევიათ“

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი კარგედურ განიგებას უარყოფს, როგორ გაშიფრა „ვერსიამ“ ნავთობკომპანიებს შორის კავშირი



„დასავლური დემოკრატიის კითხვები ვინაილ სააკაშვილს“



ბრიტანედმა ჟურნალისტმა ოდესის გუბერნატორი პრეს-პრესში გააცნა

ექსკლუზიური ინტერვიუ ინდონეზიის საპატიო კონსულ გია ფხაკაძესთან

რაცომ იბრდება ქართველი ცურისცების რიცხვი კუნძულ ბაღიბუ და რაცომ ვერ ჩამოდიან საქართველოში სასწავლებლად ინდონეზიელი სწუდენცები



„დასავლური დემოკრატიის კითხვები მიხეილ სააკაშვილს“



გიორგი იაშვილი



ნაციონალური მოძრაობის წევრებს თუ ვენდობით, მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი უკრაინაში პეტრო პოროშენკოს რეიტინგს აჭარბებს. რეალურად კი, უკრაინელი ხალხი ზუსტად ისეთ ხიბლშია, როგორც ჩვენ ვიყავით 2003 წლის შემდეგ და საბოლოოდ რაც მივიღეთ დემოკრატიის შუქურისგან, ყველამ კარგად იცის. როგორც ჩანს, უკრაინელებს ეს აღარ ახსოვთ, მაგრამ კარგად იციან ევროპელებმა და...

„დასავლური დემოკრატიის კითხვები მიხეილ სააკაშვილს“, — ასეთათაურებენ სოციალურ ქსელში ქართველი მომხმარებლები ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტის სტივენ საკას მიერ სააკაშვილისთვის დასმულ შეკითხვებს. სააკამ სააკაშვილი, შეიძლება ითქვას, არ დაინდო და ინტერვიუს მსვლელობისას ოდესის გუბერნატორს უკმაყოფილება სახეზე აშკარად ენერა.

„თქვენ ბევრს საუბრობთ კორუფციის დამარცხებაზე უკრაინაში, თუმცა, თქვენს ქვეყანაში გადანაშაულებენ სწორედ იმაში, რის დამარცხებასაც უკრაინელებს პირდებით“, — ეს იყო ერთ-ერთი კითხვა, რომელიც საქართველოს ექსპრეზიდენტს აშკარად არ ესაიამოვნა. სწორედ ელიტური კორუფციის გამო ჰქონდა მოსახლეობას კონკრეტულად სააკაშვილთან კითხვები და სწორედ ამის გამო, რამდენიმე მაღალჩინოსანი დღეს სასჯელს იხდის, ნაწილი კი იძებნება და იძებნება თავად სააკაშვილიც.

„უკრაინა ლამის მუხლებზე დაეცეს, მას ახლა, ახალი თაობის რეფორმატორი ლიდერები სჭირდება — არის კი სააკაშვილი ასეთი ლიდერი?“ — ეს კითხვა სააკაშვილის რეფორმატორობაში პირდაპირ ეჭვის შეტანას ნიშნავს, ანუ იმაში, რასაც ნაციონალური და სააკაშვილი ფიქრად ამტკიცებენ. ე.წ. ახალი ტიპის რეფორმატორებმა საქართველო სადამდე მიიყვანეს, ქართველმა ერმა საკუთარ თავზე გამოცადა.

„ნუ დაგავინებთ, რომ თქვენ ხართ გუბერნატორი, სხვის ქვეყანაში და არ მგონია, უკრაინელები თანამემამულე აღგიქვამდნენ... საინტერესოა, რატომ თქვით უარი მოქალაქეობაზე? მინდა შეგახსენოთ, საქართველოს ყოფილი პრემიერის, ივანიშვილის სიტყვები, თქვენს დანიშვნაზე „მეცოდება უკრაინელი ხალხი“, — კითხვების ამ კასკადმა სააკაშვილს ის დრო გაახსენა, როცა ხელისუფლება ხელიდან ეცლებოდა შაგრენის ტყავით, დაპატარავებულ ქვეყანაში აღარ დაედგომებოდა და ნასვლას აპირებდა, თუმცა ჯიუტად ებღაუჭებოდა იმას, რაც უკვე მისი კი არა, ქართველი ხალხის იყო და აკი ვერც შეინარჩუნა.

ბრიტანელმა ჟურნალისტმა ოდესის გუბერნატორი პრეს-პრესში გააფანტა

სხვათა შორის, სააკაშვილმა ინტერვიუს მსვლელობისას არაერთხელ აღნიშნა, უდანაშაულო ვარო, მაგრამ... „მამ წადით თბილისში და იმართლეთ თავი, დაამტკიცეთ თუ მართალი ხართ... საქართველოს პროკურატურას, მიკერძოებულს და რუსეთის მიერ კონტროლირებულს ვერ დავარქმევთ, მათ ხომ ბრიტანელი და ევროპელი პროკურორები ჩაიყვანეს კონსულტაციებისთვის და ისე მოამზადეს ეს საქმეები? თქვენზე მთავრობის, ყოფილი თავდაცვის მინისტრი, გადანაშაულებთ მძიმე ფაქტებში“, — უთხრა ჟურნალისტმა და სააკაშვილმაც თავი დახარა. საქართველოში ჩამოსვლა და იმ ხალხისთვის პასუხის გაცემა, რომელმაც მას 2003 წელს უპრეცედენტო ნდობა გამოუცხადა, ერთი შეხედვით მარტივია, თუმცა ეს სიმარტივე სააკაშვილს არ მოსწონს.

„ბევრს საუბრობთ თქვენს მიღწევებზე, თუმცა ფაქტია, რომ სწორედ ქართველმა ხალხმა გადაგაყენათ... დღეს თქვენი საუბრით, მე ვხედავ საპრისიპიროს — რომ თქვენ ძალიან გინდათ დაბრუნება“, — ლიბლით უთხრა სააკამ და ისიც კი ვიფიქრე, ახლა მიმა თავს დახრის და ჩუმად იტყვის — „საქართველო, ბუნდოვნად მასხოვს“, მაგრამ მიმას მსგავსი არაფერი გაუკეთებია. მას ყველაფერი კარგად ახსოვს და ამიტომაც იკავებს საქართველოში ჩამოსვლისგან თავს, თორემ... „პროშენკომ, არა რეფორმატორობისთვის, არამედ იმიტომ ხომ არ დაგინიშნათ, რომ პუტინთან ხართ დაპირისპირებული მწვავედ — გვახსოვს მისი შექარაჟი, რომ ერთი ადგილი დაგვიღებდათ“, — ჰკითხა სააკამ და... რატომღაც დიმიტრი მედევევის სიტყვები გამახსენდა, სააკაშვილის დანიშვნის შემდეგ რომ თქვა, „მაპიტო გრძელდება“. მაპიტო, ანუ მოხეტიალე ცირკი დიდი ხანია სააკაშვილის მეტსახელად იქცა და ცუდი ის არის, რომ ამ ცირკის ყურებისას ქართველ ერს, სიცილის ნაცვლად, თვალდან მომხამველელი გაზის ზემოქმედებით ცრემლი სდიოდა.

„მიპასუხეთ პირდაპირ — თქვენს უან ამერიკელების ფულია, არა? თქვენ ხართ წითელი ფარდა, რუსული ხარის თვალუბთან, ეს არის თქვენი როლი? თქვენ ხართ, მხოლოდ პროვოკაცია, რუსეთის წინააღმდეგ“, — ჰკითხა ჟურნალისტმა და ფაქტია, რომ ამ წითელმა ფარდამ 2008 წელს ჩვენ 150-ზე მეტი სოფელი დაგვაკარგინა, მცოცავი ანეცხია დღემდე გრძელდება.

„რაც შეეხება ოდესას, არც ისეა როგორც თქვენ აჩვენებთ პიარულად. არის აზრთა სხვადასხვაობა თქვენს საქმიანობაზე... უცნაურია, როცა ამბობთ რომ ებრძვიან რუსეთს და თან ტურისტებს ეპატივებით ოდესაში“, — ლიბლით ჰკითხა ჩვენმა ბრიტანელმა კოლეგამ და სამწუხაროდ არ გაახსენდა, რომ საქართველოშიც ასე იყო — ებრძოდნენ რუსეთს, ვარბოდნენ გორში და ანაკლიაში რუს ტურისტებს ეპატივებოდნენ.

„თქვენი რიტორიკა ხმამაღალი ხომ არ არის? ამ გადაცემაში, პრემიერ-მინისტრის ტონით საუბრობთ. ნუ დაგავინყდებთ რომ მხოლოდ და მხოლოდ გუბერნატორი ხართ... პრემიერ-მინისტრი ხომ არ გინდათ უკრაინის? ძალიან ამბიციური ხართ“, — ხმამაღლა ნათქვამი სააკაშვილის ოცნება ნაციონალურებსაც არ მოეწონებოდათ. პრემიერობას უკრაინაში სააკაშვილი, საქართველოში კრახის შემდეგ, ნამდვილად უმიზნებს, თუმცა საამისოდ ჯერ ოდესელებს უნდა დაანახოს, რომ მონსტრი არ არის, რომელიც საქართველოდან გაიქცა და მართლაც ამერიკის რჩეული ვარსკვლავი გახდა, თუმცა...

„მიპასუხეთ პირდაპირ, ობამამ და ამერიკის ადმინისტრაციამ, მიგატოვით, არა?“ — ჰკითხა სააკამ და მთავარი ხმები იმის შესახებ, რომ ამერიკამ სააკაშვილის პროექტი თაროზე შემოდო, კიდევ ერთხელ დადასტურდა.



ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. საზღვართან ქართული დროშა ჩამოსხნას

ხურვალეთში, იქ, სადაც ქართული დროშა ჟურნალისტებმა აღმართეს, ე.წ. შესაზღვრებელი მივიდნენ და ქართველ და უცხოელ კორესპონდენტებს სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში პატიმრობით დაემუქრნენ.

ე.წ. საზღვარზე ქართული დროშის ჩამოსხნის პროცესში საოკუპაციო რეჟიმის სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარე რობერტ გაზავეიც მონაწილეობდა.

მისი თქმით, აღნიშნული ტერიტორია სამხრეთ ოსეთის რე-სპუბლიკის ეკუთვნის და საზღვრის დარღვევის შემთხვევაში ისინი შესაბამის ღონისძიებებს გაატარებენ.

შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც საოკუპაციო ხაზთან ამერიკელი და ქართველი ჟურნალისტები იმყოფებოდნენ.

„პირველი“

„არს ერთ ძალას არ მივხვდით საშუალებას, პროვოკაციით მოახერხოს ვითარების დაძაბვა“



პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა, მთავრობის სხდომაზე ე.წ. საზღვრის გადმონევის შესახებ ისაუბრა. პრემიერის შეფასებით, ეს არის იმ გაუზრებელი პოლიტიკის შედეგი, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა აწარმოა. პრემიერის თქმით, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ქვეყანაში სტაბილურობა შეინარჩუნოს: „რაც შეეხება ე.წ. საზღვრის გადმონევის და იქ მიმდინარე პროვოკაციული ქმედებებს, პირველ რიგში, მინდა, პოლიტიკოსებს მოუფრთხლო, ცოტა მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ასეთ საკითხებს, ვინაიდან, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ სტაბილურობა შეინარჩუნოთ ქვეყანაში და არცერთ ძალას არ უნდა მივცეთ საშუალება, რაიმე პროვოკაციული გზით მოახერხოს სიტუაციის დაძაბვა რეგიონში. ეს არის კიდევ ერთხელ შედეგი იმ გაუზრებელი პოლიტიკის, რომელიც სააკაშვილმა წლების განმავლობაში აწარმოა. ეს არის 2008 წლის ომის შედეგი. ეს არის ის მძიმე მემკვიდრეობა, რომელსაც ჩვენ ვიპყობთ“.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველო რუსეთთან მიმართებაში ფრთხილ და კონსტრუქციულ პოლიტიკას აწარმოებს, რომელიც მისი შეფასებით, ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის დამსახურებდა: „კარგად გახსოვთ, როგორ კონსტრუქციულად და სწორად მოვიქცით მაშინ, როცა სოჭის ოლიმპიადის გაიმართა. ასე რომ, ჩვენ ფრთხილ და კონსტრუქციულ პოლიტიკას ვაწარმოებთ, მაგრამ რაც მთავარია, ჩვენ არასდროს შევეურიგდებით ჩვენი ტერიტორიის ოკუპაციას. ჩვენი მთავრობის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, რომ სწორი, კონსტრუქციული პოლიტიკის ნარჩუნება დაიწყო და მაქსიმალურად ხელი შეუწყო სიტუაციის დეესკალაციას“.

პრემიერ-მინისტრმა პატიმრების პრობლემებზეც ისაუბრა. ირაკლი ლარიბაშვილმა მთავრობის წევრებს აუწყა, რომ სასჯელალსრულების მე-16 დაწესებულება მოინახულა და მას რეველუციური უწოდა: „ყველას გვახსოვს, რა მდგომარეობა იყო ციხეებში: ადამიანის წამება, გაუპატიურება და მკვლელობა, პირდაპირი მნიშვნელობით. მათზე არ ზრუნავდნენ. მინდა, მადლობა გადავუხადო სოზარ სუბარს, რადგან ეს რეფორმები ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, მის დროს დაიწყო. სახელმწიფო პირველად ხარჯავს მილიონებს პატიმრების მკურნალობისთვის“.

პრემიერისგან განმარტებით, სასჯელალსრულების მე-16 დაწესებულება კატასტროფული დაწესებულება იყო. ერთ ოთახში 40-მდე პატიმარი იმყოფებოდა:

„დღეს იქ თანამედროვე საავადმყოფო, ბიბლიოთეკა და სპორტული მოედანია. ამ ციხეში ნაკლებად საშიში პატიმრები იმყოფებიან, რომლებიც კარგად იქცევიან. მათ დაადასტურეს, რომ გამოსწორების გზაზე დგანან. ეს იქნება კარგი მოტივაცია სხვებისთვის, რომ ამ ციხეში მოხვდნენ. თუმცა ერთი ნაკლი აქვს ამ ციხეს — მას მიშა აკლდა. მე და თინა ვხუმრობდით, ყველაფერი წინ არის“.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

მაია ყვიციანი ადასტურებს, რომ ათონელის რეზიდენსიაში გადასვლა ეროვნული უშიშროების საბჭოს განსჯის საგნად იქნება



მთავრობის ადმინისტრაცია ადასტურებს, რომ ათონელის რეზიდენსიაში ეროვნული უშიშროების საბჭოს გადასვლა იგეგმებოდა. როგორც ჟურნალისტებს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა მაია ციციტიშვილმა განუცხადა, ადმინისტრაციამ უშიშროების საბჭოს პირველად შარშან ნოემბერში მიმართა თხოვნით, მთავრობის ადმინისტრაციის შენობიდან გადასულიყო. ციციტიშვილის განმარტებით, აღნიშნულის შემდგომ, უშიშროების საბჭოსთვის შეთავაზებული იყო ათონელის რეზიდენსია, რაზეც ირინა იმერლიშვილს თანხმობა ჰქონდა გაცხადებული: „ამის შემდგომ, ქალბატონი ირინასგან უარი მივიღეთ იმ მოტივით, რომ ეს ფართი არ შეესაბამება საბჭოს ფუნქციონირებისთვის საჭირო მოთხოვნებს. ეს არგუმენტი ჩვენთვის გაუგებარია, რადგან

ათონელის რეზიდენსია თავიდანვე გამიზნული იყო უშიშროების საბჭოსთვის და შენობა ავეჯით არის განწყობილი“.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი აცხადებს, რომ მათი მხრიდან უშიშროების საბჭოს ათონელის რეზიდენსიაში გადასვლის მზაობა კვლავ არის.

ქრთამის ალბის ფაქტზე, გარდახდის ვენისიკალიზატის საკრებულოს წევრი დეპუტატი შაირ საფაროვი დააკავა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ქრთამის ალბის ფაქტზე, გარდახდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, დეპუტატი შაირ საფაროვი დააკავა. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის უკანონოდ სარგებლობის და სამენარმეო საქმიანობის განხორციელებაში მფარველობის სანაცვლოდ, მოქალაქისგან ქრთამის სახით მოითხოვა და აიღო ფულადი თანხა 2 000 ლარის ოდენობით. დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით გრძელდება, რაც 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„პირველი“

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი კარცედურ გარიგებას უარყოფს, როგორ გაშიფრა „ვერსიამ“ ნავთობკომპანიებს შორის კავშირი

მანია მიხეილაძე
593-51-90-12

სსიპ კონკურენციის სააგენტომ ნავთობპროდუქტების ბაზრის შესწავლა დაასრულა და 8 მსხვილი ნავთობკომპანია, მთლიანობაში — 54 698 329 ლარით, 22 ნავთობკომპანია — 4 400 ლარით (თითოეული 200 ლარით) დააჯარიმა. ჯამში, 30 ნავთობკომპანია, 54 702 729 ლარით დაჯარიმდა. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი ბარაბაძის განცხადებით, კომპანიები იმით დაჯარიმდებიან, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები დაარღვეეს, რაც მათ შორის კარტელურ გარიგებას, ანუ ფასზე ფარულად შეთანხმებას ნიშნავს. ბარაბაძის ინფორმაციით, 2008-2014 წლებში, ავტოსანავის სასაქონლო ბაზარზე კონკურენციის დაცვის პრინციპები დარღვედა, კერძოდ, იმპორტში ხელოვნური ბარიერები მოქმედებდა, რაც წარმოებას ხელუდობდა. კონკურენციის სააგენტომ სანავის ბაზრის შესწავლა პრემიერ-მინისტრის დავალებით დაიწყო.

2015 წლის 14 ივლისს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი ბარაბაძემ №81 ბრძანება გამოაქვეყნა, რომლითაც ნავთობპროდუქტების ბაზარზე, სამართალდამრღვევ ეკონომიკურ აგენტებს („კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ეკონომიკური აგენტია პირი, რომელიც ეწევა სამენარმეო საქმიანობას განურჩევლად სანარმის ორგანიზაციულ-სამართლებრივი, საკუთრების ფორმისა და საქმიანობის ხასიათისა, — ავტ.) შემდეგი ოდენობის ჯარიმა დაეკისრათ:

- „შპს „სოკარ პეტროლეუმი“ — 14 381 385 ლარი; შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (ყოფილი „გალფი“) — 11 267 384 ლარი; შპს „რომპეტროლ საქართველო“ — 10 845 806 ლარი; სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ — 10 426 393 ლარი; შპს „ლუკოილ ჯორჯია“ — 4 740 260 ლარი; შპს „L.ოილი“ — 1 209 890 ლარი; შპს „ი თი აი“ — 1 172 766 ლარი; შპს „ბინული 1“ — 654 445 ლარი. ამავე ბრძანების საფუძველზე, შპს „არაონი 2010“, შპს „პარტნიორი ბათუმი“, შპს „ტრანს სერვისი 2010“, შპს „ენ სერვისი“, შპს „დიდუბე 2009“, ი/მ სარდიონ ჯიჯიშვილი, შპს „MG“, შპს „აჭარა პარტნიორი“, შპს „პარტნიორი 2010“, შპს „პარტნიორი“, შპს „ჯი პლიუსი“, შპს „T4“, შპს „რომ კომპანი“, შპს „გიგო“, შპს „ნორექსი“, შპს „სტ ოილი“, შპს „საბ პეტროლი“, შპს „ლგმ“, შპს „ქსილისი“, შპს „იბერკომპანი პეტროლიუმი“, შპს „ჯეოსერვისი“ და შპს „ბრენდ ოილი“ — თითოეულ ეკონომიკურ აგენტს დაეკისროს ჯარიმა 200 ლარის ოდენობით.

ამ ეკონომიკურ აგენტებს დავალებით საავტომობილო სანავის სასაქონლო ბაზარზე საქმიანობისას, მათ შორის სახელმწიფო რესურსების უზრუნველყოფის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვა; საქართველოს საავტომობილო სანავის სასაქონლო ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, საქართველოს მთავრობასა და ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს წარედგინათ შესაბამისი რეკომენდაციები; სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 12 ნოემბრის №14 ბრძანების შესაბამისად დაწყებული სავაჭრო ნავთობის სასაქონლო ბაზრის მოკვლევის ვადა გაგრძელდეს 2015 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით; ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში“.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის №81 ბრძანების მიხედვით, უცნობია, როგორ და რა პრინციპით განუსაზღვრეს ნავთობკომპანიებს სოლიდური ჯარიმა? ამ ეტაპზე, კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლები დუმდნენ ამჯობინებენ. თუმცა „ვერსიის“ კარგად ინფორმირებული წყაროს ინფორმაციით, ჯარიმების ოდენობა შემდეგი პრინციპით განისაზღვრა: ფასზე ფარული გარიგებისას, ნაკლებად ცნობილი 22 ნავთობკომპანია, ბაზრის ძირითადი 8 კომპანიის შუამავლად ითვლება. წყაროს ინფორმაციით, რაც მეტი შუამავალი კომპანია უკავშირდება ძირითად მოთამაშეს, მით მეტია ჯარიმის ოდენობა.

ოფიციალურად, კანონის მიხედვით, კონკურენციის სააგენტომ

„ნავთობკომპანიებს კანონი „კონკურენციის შესახებ“ არ დაუჩვევიათ“



ტო 10 დღის ვადაში გამოაქვეყნებს ბრძანების დანართს, სადაც დეტალურად გაიშორება ის სავარაუდო სქემები, რომელთა საფუძველზე ნავთობკომპანიებს შორის კარტელური გარიგება დადგინეს. ამ სქემების განსაჯაროებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ერთი, რომ ბაზარზე „კონკურენციის შესახებ“ კანონი დარღვევა და მორეა, რის საფუძველზე დადგინდა, რომ უმსხვილესი კომპანიები ფასზე ფარულად გარიგდნენ?! იმის გამო, რომ კონკურენციის სააგენტო საზოგადოებისთვის საინტერესო ინფორმაციას ჯერ არ აქვეყნებს, „ვერსია“ შეეცადა, კომპანიებს შორის კავშირი სწორედ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების მიხედვით დაედგინა.

გიორგი ბარაბაძის №81 ბრძანებაში, ნავთობკომპანიების საიდენტიფიკაციო კოდეზის მიხედვით, ამიტომ საჯარო რეესტრის ოფიციალურ გვერდზე, სწორედ ამ კოდეზით დაინიშნეს კომპანიების სამენარმეო რეესტრის ამონაწერების ძებნა. ბრძანებაში მითითებული 30-ვე ნავთობკომპანიის სამენარმეო რეესტრის ამონაწერი გადავამოწმეთ და მათ შორის კავშირებიც დავადგინეთ.

მაგალითად, ბრძანებაში მითითებული შპს „ბინული 1“-ის დამფუძნებლები ბესიკ მეტრეველი და ზაზა მეტრეველი, ამ კომპანიაში თანაბარ, 50%-იან წილს ფლობენ, კომპანიის დირექტორად ზაზა მეტრეველი ფიქსირდება. თუმცა საჯარო რეესტრის ინფორმაციით, შპს „არაონი 2010“-ის დირექტორიც ბესიკ მეტრეველია. რაც შეეხება პროცენტულ წილს, „არაონი 2010“-ის დამფუძნებლებს შორის, ასეა გადანაწილებული: ავთანდილ თევზაძე — 19%, ნაზი ლიპარტელიანი — 20%, გაიოზ ჯაფარიძე — 19%, ანრი გოგიტიძე — 10%, ნიკოლოზ ხვედელიძე — 20%, ბესიკ მეტრეველი — 12%.

თავის მხრივ, შპს „არაონი 2010“-ს უკავშირდება შპს „პარტნიორი ბათუმი“, რადგან ამ კომპანიებსაც ერთი და იგივე მენილეები ჰყავთ. შპს „პარტნიორი ბათუმის“ დირექტორია ანრი გოგიტიძე („არაონი 2010“-ის 10%-იანი წილის მფლობელი), ხოლო დამფუძნებლებს შორის პროცენტული წილი ასეა გადანაწილებული: ნაზი ლიპარტელიანი — 25%, მერი ჯაფარიძე — 25%, ნიკოლოზ ხვედელიძე — 25%, სოფიო ცხადაძე — 25%. ანრი გოგიტიძის მსგავსად, ნაზი ლიპარტელიანიცა და ნიკოლოზ ხვედელიძეც „არაონი 2010“-ის მენილეები არიან. სხვათა შორის, კომპანიების საიდენტიფიკაციო კოდეზის გარდა, რეესტრში მათი პირადი ნომრებიც გადავამოწმეთ და დავადგინეთ, რომ ერთი და იგივე პირები არიან, თორემ თავისუფლად შეიძლება, საქართველოში რამდენიმე ბესიკ მეტრეველი, ანრი გოგიტიძე ან ნაზი ლიპარტელიანი ცხოვრობდეს.

„ბინული 1“-ს, „არაონი 2010“-სა და „პარტნიორი ბათუმს“ უკავშირდება შპს „ენ სერვისიც“. საჯარო რეესტრის მიხედვით, „ენ სერვისის“ დირექტორია ვაჟა აგაშენაშვილი, დამფუძნებლები კი ვაჟა აგაშენაშვილი — 25%-ით, ვახტანგ ოდიშელიძე — 25%-ით, ალექსანდრე ჯაფარიძე — 20%-ით, ბესიკ მეტრეველი — 10%-ითა და ნიკოლოზ ხვედელიძე — 20%-ით.

ამ ნავთობკომპანიებს კიდევ ერთი კომპანია უკავშირდება — შპს „დიდუბე 2009“, რომლის დირექტორია ბესიკ მეტრეველი, ხოლო დამფუძნებლები: ალექსანდრე ჯაფარიძე (25%), ნიკოლოზ ხვედელიძე (25%), ბესიკ მეტრეველი (24%) და მარინე სიჩვი (26%). ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი გვარები და სახელები კიდევ ერთ ნავთობკომპანიაში, შპს „პარტნიორი 2010“-ის დამფუძნებლებს შორის გვხვდება: ნაზი ლიპარტელიანი (17%), მერი ჯაფარიძე (17%), ნიკოლოზ ხვედელიძე (17%), ბესიკ მეტრეველი (10%), ნუგზარ ბაჭაძე (19.5%) და აკაკი ნოზაძე (19.5%).

ანალიტიკური კავშირი დავადგინეთ შპს MG-სა და შპს T4-ს შორისაც. შპს MG-ის დირექტორია გიორგი ოთარაშვილი, ხოლო 50%-იანი წილებს გიორგი ჩხეიძე და ზურაბ კიკნაძე ფლობენ. რაც შეეხება შპს T4-ს, მისი დირექტორი გიორგი უგულავაა, კომპანიაში 100%-იანი წილს კი გიორგი ჩხეიძე ფლობს.

იგივე კავშირი გამოიკვეთა შპს-ებს — „L.ოილს“ და „ჯეოსერვისს“ შორისაც. საჯარო რეესტრის ინფორმაციით, „L.ოილის“ დირექტორი გიორგი ნერეთელია, ხოლო 100%-იანი წილს ლევან ოთინაშვილი ფლობს. რაც შეეხება „ჯეოსერვისს“, ეს კომპანია შპს „L.ოილს“ დააფუძნა. საჯარო რეესტრის ოფიციალური ინფორმაციით, „ჯეოსერვისის“ დირექტორი გიორგი ნერეთელია, რომელიც „L.ოილის“ დირექტორიცაა, პროცენტული წილი კი ასეა გადანაწილდა: შპს L.ოილი — 80% და თენგიზ სამსეიშვილი — 20%.

საჯარო რეესტრის ოფიციალური მონაცემებით, შპს „ი თი აისა“ და „სოკარს“ შორის პირდაპირი კავშირი არ იკვეთება, თუმცა საინტერესო ფაქტი ისაა, რომ „ი თი აისა“ დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი მაგუსტ მამადადოვი და დირექტორი საადი მამადა შასაშვილი, აზერბაიჯანელი არიან. პირდაპირი კავშირი არ ჩანს არც შპს „გიგოს“ და „ლუკოილ ჯორჯიას“ დამფუძნებლებს შორის, მაგრამ საინტერესო ფაქტია, რომ შპს „გიგო“ რეესტრში ოფიციალურად 1995 წლიდანაა რეგისტრირებული,

სადაც 50%-იანი წილს გოჩა სულთანშვილი ფლობს. „ლუკოილ ჯორჯიას“ სახელმწიფო რეგისტრაციის ოფიციალური თარიღია 2002 წლის 8 თებერვალი, თუმცა რეორგანიზაციამდე ეს კომპანია „ლუკოილ გრუპის“ სახელით, 1997 წლიდან არის რეგისტრირებული. თავის დროზე, „ლუკოილ გრუპის“ შეგარდნადის ძმისშვილის, ნუგზარ შეგარდნადის ინტერესებიც იკვეთებოდა, რადგან მისი „ივერია პლიუსი“ კომპანიის ერთ-ერთი აქციონერი იყო და გარდაცვლილი ექსპრეზიდენტის მძახლის — გიორგი ახვლედიანისა. თუმცა მოგვიანებით, ნუგზარ შეგარდნადი გიორგი ახვლედიანმა „ჩააჩოჩა“ და ეს სამენარმეო რეესტრის ამონაწერშიც კარგად ჩანს — 2002 წლიდან, როდესაც „ლუკოილ გრუპის“ ბაზარზე „ლუკოილ ჯორჯიას“ სახელით გამოდის, სამენარმეო რეესტრის ამონაწერში მხოლოდ შეგარდნადის მძახალი გიორგი ახვლედიანი ფიგურირებს. შეგარდნადის ნათესაური კავშირები დღეს, კონკურენციის სააგენტოსთვის ნაკლებად საინტერესოა და ეს სულაც არ არის ამ კვლევის მთავარი ამბავი, მაგრამ თქვენს მონა-მორჩილს, ახვლედიანების კვლავ „ვისოლის“ წინამორბედ „კანარგოშიც“ უნახავს და „ინაკოშიც“. 2002 წელს, სწორედ თამაზ ნიჟარაძის „ინაკოში“, მისივე ინიციატივით შევხვედი პირადად გიორგი ახვლედიანის შვილს... საჯაროდ, კონკურენციის სააგენტოს შპს „გიგოს“ და „ლუკოილის“ კავშირი უფრო აინტერესებს, რადგან „გიგოს“ 50%-იანი წილის მფლობელი გოჩა სულთანშვილი, დიდი ხნის მანძილზე, „ლუკოილში“ ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობდა. წლების წინ, გოჩა სულთანშვილი, სწორედ „ლუკოილში“ გავიცანი...

ამ პატარა, ლირიული ჩანართით, მხოლოდ იმ ფაქტის დაფიქსირება მიხდა, რომ ნავთობპროდუქტების ბაზარზე (და არა მხოლოდ) არსებულ მონოპოლიაზე, რომელიც მოგვიანებით კარტელურმა გარიგებამ ჩაანაცვლა, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, ჯერ კიდევ შეგარდნადის პრეზიდენტობის დროიდან ვერდი. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ინფორმაცია იმ პერიოდში არც ისე გახსნილი და გამჭვირვალე იყო, ჟურნალისტები მაინც ვახერხებდით ჟურნალისტური გამოძიების ჩატარებას, ხელისუფლების მალაჩინოსების ინტერესებისა და კომპანიებს შორის არსებული გარიგებების დასადგენად.

ამ ყველაფრის მიუხედავად, თუნდაც ოფიციალურად, რეესტრის ამონაწერების მიხედვით, კომპანიებს შორის რეალური კავშირების დადგენაც კი არ ნიშნავს ბოლომდე იმას, რომ ნავთობპროდუქტების ბაზარზე ფასები ფარული გარიგებით დგინდება. ამიტომაც აუცილებელი იმ საქმის დეტალური ანალიზი, რომელსაც სააგენტო ჯერ არ აქვეყნებს. სხვათა შორის, სოციალურ ქსელში, იგივე პოზიციას აფიქსირებს იურისტი ლევან ალაფიშვილი, რომელიც კონკურენციის სააგენტოს რამდენიმე ლოგოკური კითხვით მიმართავს: „ამ საქმის სასამართლოში წარმართვის შემთხვევაში, სააგენტოსთვის ადვილი არ იქნება მისი მოგება. არადა, ასეთ სერიოზულ, თანაც პირველ საქმეზე განცდილი მარცხი, სააგენტოსა და სისტემის დისკრედიტაციას გამოიწვევს. ვინაიდან სრული მასალები არ არის ცნობილი, სხვა დეტალებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ რამდენიმე კითხვა უკვე სახეზეა: პირველი — „კონკურენციის შესახებ“ კანონი 2012 წელს შევიდა ძალაში და მის ნორმებს 2008, 2009, 2010 და 2011 წლებზე როგორ ვაგრძელებთ, როცა კანონი უკუქცევით ძალა არ აქვს? მეორე — ამავე კანონის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა: ქმედების ჩადენიდან 3 წელი, ანუ მაქსიმუმ 2012 წლის შემდგომ ჩადენილი ქმედებისთვის შეიძლება დავა. 2008, 2009, 2010 და 2011 წლები ხანდაზმულობის ვადის მიღმა რომ არის, მასზე როგორ იმსჯელებ? მესამე — ხელშეკრულებაში ბათილად ცნობის უფლება კონკურენციის სააგენტოს არ აქვს, ეს სასამართლოს საქმეა. მხოლოდ კანონის ჩანაწერი: „ამ მუხლით გათვალისწინებული აკრძალული შეთანხმება ბათილია“, არ ნიშნავს, რომ ბათილობაზე მსჯელობა-გადანწყვეტილების მიღების კომპეტენცია კანონით მინიჭებული აქვს სააგენტოს. ასეთი ჩანაწერი არის სამოქალაქო კოდექსშიც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვა რომელიმე ორგანოს, გარდა სასამართლოსი, შეუძლია იმსჯელოს და გადაწყვიტოს გარიგების/ხელშეკრულების ბათილობის საკითხი. აი სამოქალაქო კოდექსის ერთი ასეთი ჩანაწერი: ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე (მუხლი 55). არ ვამბობ, რომ დარღვევით არ არის, ნავთობკომპანიები ან სახელმწიფო უმცემო და უცოდველია, მაგრამ ჩემი, როგორც მომხმარებლის ინტერესია, კონკურენციის ეფექტური სისტემა ამოქმედდეს, რომელიც ნდობაზე, პროფესიონალიზმსა და ობიექტურობაზე იქნება დაფუძნებული. მხოლოდ ასე იქნებიან მომხმარებლები დაუზღვენი“.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი თავმჯდომარე, ვანო მთვრალაშვილი წლების მანძილზე, ჯერ მონოპოლიების არსებობას უარყოფდა ნავთობპროდუქტების ბაზარზე და მოგვიანებით, უკვე კარტელურ გარიგებასაც კი. არადა, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, გიორგი ბარაბაძე საპრისპიროს ამტკიცებს და პირდაპირ მიუთითებს, რომ ნავთობკომპანიებმა „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი დაარღვეეს. რომელი ტყუის — ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი, თუ კონკურენციის სააგენტო? „ვერსია“ ვანო მთვრალაშვილს დაუკავშირდა: „კომპანიებს მიაჩნიათ, რომ მათ არ დაურღვევიათ „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი. მას შემდეგ, რაც სააგენტო შესაბამის მასალებს გადაუზღვეს ვანოს კომპანიებს, ისინი გაეცნობიან და ინდივიდუალურად, თითოეული მათგანი გადაწყვეტს, გაასაჩივროს თუ არა სასამართლოში სააგენტოს დასკვნა.“

დასასრული მე-4 გვერდზე



„სურველთა და ჩაჭობილი ერთი ბანკი ყველა რუს ბუჩისსა და იმ გაყიდულ პაპს თუ მწვანის გაღონის“

იბრძვიან თუ არა რუსუბიკედები შს მინისტრის პორცედისთვის როგორ ხსნის ხედისუფლების არსნორ ნიგორიკას რუსეთთან მიმართებაში დავით ბურაბიშვიდი

ნინო კობახიძე
599-95-33-16

რუსუბიკედების მიმართ ამ დღეებში ბევრი კითხვა დაგროვდა. ჯერ მარტო საქართველოს ყველა ფრაზა, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმთან დაკავშირებით, თქმისთანავე გაჰყარდა — რუსეთთან ურთიერთობა გავაუმჯობესეთ, პუტინი მტერი რატომა და ა.შ. საზოგადოების ნაწილი რუსეთის მიერ ორჭოსანთან საზღვრის გადმოწვევას თინა ხიდაშელის მიერ საფრანგეთთან გაფორმებულ თავდაცვით ხელშეკრულებას უკავშირებს. ამასობაში, საკრებულომ ისტორიული მატჩის 300 ბილეთი და ცოცხალი მესის ხილვის შანსი დაისაკუთრა. ჩვენი რესპონდენტი **დავით შურაბიშვილია**, რომელსაც თანაპარტიელების განცხადებების განმარტება, საკრებულოს უმრავლესობის ნევრის სახელით საუბარი და კიდევ ორ საინტერესო კითხვაზე პასუხის გაცემა მოუხდა — რა განთავსდება ყოფილი ზოოპარკის ადგილას და როდის გაიხსნება ვაკე-საბურთალოს შემართებული მაგისტრალი.

— რა ხდება თქვენი პარტიის თავს, რატომ ხართ ასეთი პოპულარულები?
— რა გქნათ, ჩვენი რა ბრალია. მას მერე, რაც 2 ახალი მინისტრი გვყავს მთავრობაში, ბუნებრივია, რესპუბლიკური პარტიის პასუხისმგებლობაც გაიზარდა, მით უმეტეს, ორივე ისეთია, საზოგადოებას მათი არსებობა არ დაავინყდებდა და მუდმივად აქტუალურები იქნებოდა.
— თან, ახლა იმაზეცაა საუბარი, რომ გაყოფილ შსს-ში ერთ-ერთი უწყების მინისტრობას ვიგლა აგულაშვილი უმიხნებს და თურმე, ამაზე თინა ხიდაშელიც აქტიურად მუშაობს. ადასტურებთ ამ ხმებს?
— ამაზე არანაირი საუბარი არ ყოფილა! არ მესმის, საიდან გავრცელდა ეს ხმა. ალბათ, ამით, „ოცნების“ მომხრე ის ნაწილია შემოფოტებული, რომელიც ნაკლებად განსხვავდება ბურჯანაძე-ინაშვილის მომხრეებისგან. თორემ შსს ორად რომ იყოფა, ძალიან კარგია. მიკვირს, ჩემთვის ძალიან პატივსაცემი არასამთავრობო ორგანიზაციები ამ კანონს რომ აკრიტიკებენ — ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული კანონია, რაც აქამდე მიგვიღია. ვინ, ვინ და მე ნამდვილად არ მჩვევია ხელისუფლების „გაპრაფება“. საერთოდ ვერ ვიტან „გაპრაფების“ ფენომენს. ეს მართლა კარგი კანონია.
— ამ საკითხზე ისევ „ოცნების“ მხარდამჭერთა გარკვეული ჯგუფი საუბრობს და სააკაშვილ-ადგიშვილის საუბრის ტექსტს იშველიებს, თუმცა მის ავთენტურობასაც ვერავინ ამტკიცებს. ვის აწყობს ამტკიცოს, რომ თქვენ და ნაციონალები შეთანხმებით მოქმედებთ?
— არა მგონია ამას ნაციონალები აკეთებდნენ. ასეთი „ჩამწყობების“ ვერ არიან. ეს ვიდრე თუ ჩანანერები ძალიან უნიჭოდ დაწერილი ზღაპარია. არც იმას გამოვრიცხავ, ამ ე.წ. ულტრანაციონალისტებსა და რუსულ სპეცსამსახურებს შორის რაიმე კავშირი

არსებობდეს. ეს სულელურ, ანტირესპუბლიკურ კამპანიას ჰგავს. ახლა სულ ერთი ჭორი ტრიალებს, რომ თურმე, ეს ვერაგი რესპუბლიკელები შს მინისტრის პოსტის ადებსა აპირებენ და ამის გამო, რატომღაც, ნაციონალებთან არიან შეკრულები. ვის აწყობს ამ ხმების გავრცელება არ ვიცი. ფაქტია, ეს რესპუბლიკელებისა და სხვა ლიბერალური, ანტიდასავლური ძალების მხარდამჭერი არ იქნება.
— რუსეთის მიერ საზღვრის კიდევ ერთხელ გადმოწვევაზე რესპუბლიკელი მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის გამონათქვამებს დიდი ათოტაუი მოჰყვა — საზღვრის გადმოწვევა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის ფარგლებში ხდება. ასეა?
— პაატას სჩვევია ცოტა გაუგებრად საუბარი. მის ნათქვამს კარგად გაგება სჭირდება. ამ ფრაზასაც კონტექსტულურად უნდა შევხედოთ. ითქვა მარტივი რამე: დიახ, ჩვენ გვაქვს მიღებული კანონი ოკუპაციის შესახებ. ამ კანონით ის ტერიტორიებია განსაზღვრული, რომელსაც თავად მივიჩნევთ რუსეთის მიმართ ოკუპირებულად და ვერ ვაკონტროლებთ. ის, რასაც რუსეთი აკეთებს, სწორედ ამ, ტერიტორიაზე ხდება. უბრალოდ, ასეთი ფორმულირება არ უნდა მივცეთ, რომ ეს კანონიერად ხდება.
— კი მაგრამ, ორჭოსანი ხომ არ არის ოკუპირებული?
— სამწუხაროდ, სადაც ბანერები დააყენეს, ოკუპირებული ტერიტორიაა. თუმცა ეს, ნებისმიერ შემთხვევაში, ძალიან ცუდია. პირდაპირ ვიტყვი, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა უმეტესობას, თინა ხიდაშელის გარდა, არასწორი რიტორიკა ჰქონდა — ისეთი არაფერი ხდებაო.
— უარსებობს ითქვა, ბაქო-სუფსის მილი მიწაში ღრმად და რა მოხდა, საოკუპაციო ხაზსმიღმა რომ აღმოჩნდაო. მერე თქვეს, მაშინ ცოტა გვერდზე გადმოვიტანოთ... აი, ეს რომელ კანონში წერია?
— არა, ჩემი აზრით, ასეთ დროს, მსგავსი რამეების თქმა არ შეიძლება და არც იმ პოზიციის დაჭერა, თითქოს, არაფერი ხდება. რუსეთის პოლიტიკა და მცოცხალი ოკუპაცია გრძელდება. თეი-სობრივად, ეს სიახლე არ არის, მაგრამ როცა ხდება ცუდი ფაქტი, ხელისუფლებამ ამაზე ოპტიმიზმით არ უნდა ისაუბროს. პირიქით, უნდა დაგმოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართოს, რაც კეთდება კიდევ.
— აბა, ამერიკის ელჩმა რატომ გაიგო ეს ამბავი პრესიდან და საერთოდ, ევროპის ინფორმირებისთვის რაც კეთდება, საკმარისია?
— ბატონმა ნორლანდმა შეიძლება ეს პრესიდან გაიგო, მაგრამ დაგმო კიდევ და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ხელისუფლებას შეხვედრებიც ჰქონდა. უბრალოდ, ეს რეაგირება მყისიერი უნდა იყოს, მთავრობას კი ერთი და იგივე მესიჯი უნდა ჰქონდეს. სახეზე ისევ კორინდიანის პრობლემა და ამის არდა-ნახვა არ შეიძლება. მით უმეტეს, რუსეთს ყოველთვის ასეთი რეაქცია ექნება, როცა დასავლეთის, ნატო-ს მიმართულებით რაიმე ნაბიჯს გადავდგამთ.
— ანუ, საზღვრის გადმოწვევასა და ხიდაშელის მიერ საფრანგეთთან დადებულ ხელშეკრულებას შორის კავშირი ხდება?
— თინა ხიდაშელის გააქტიურებასა და მომხდარს შორის გარკვეულ კავშირი ნამდვილადაა. ძალიან პატარა ნონითი კატეგორია

ერთ რუსეთთან შედარებით და მასთან ერთ-ერთზე დარჩენა ჩვენთვის საშიშია. ჩვენი საქმე იმ ანეკლოტივითაა, ცხოველები ორმოში რომ ჩაცვივდნენ და გადწყვიტეს, ვინც ყველაზე პატარაა, ის შეჭამონ. კურდღელმა თქვა, დედამინა რომ გაჩნდა, მეც მაშინ დავიბადეო, მელამ — მაშინ უკვე უფროსი შვილი მყავდა მკვდარიო. ბოლოს დათვი წამოვდგა, სამი წლისაც არ ვარ, მაგრამ ძალიან მშობა და ყველა შეჭამა. აი, ამ დავთან ერთ-ერთზე თუ დავრჩით, ყველაფერს ფეხებზე დაიკიდებს. გგონიათ, დასავლეთში ყველას ეხალისება საქართველოს ამბებში ჩარევა? დღეს დასავლეთისთვის საბერძნეთის კრიზისი უფრო მნიშვნელოვანია. ამიტომ, ბოდიში და, ყური თუ არ გავუხვრიტეთ, სულ არ შევანუხეთ და ვთქვით, თავად მოვავარებთ პრობლემას რუსეთთან, ერთხელაც გვიპასუხებენ, კი, ბატონო, მოავარეთო.

— დიახ, განცხადებით, რომ აბაშიძე-კარასინის ფორმატი სასარგებლოა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში წინ წავიდა და გაუმჯობესდა არაფერი გამოვა. რატომ აკეთებს ასეთ განცხადებებს საქართველოს მთავრობა და მათ შორის თქვენი განდის ნევრი ზაქარეიშვილი?
— არასწორია, ცუდი მესიჯია, რომ რუსეთთან ურთიერთობა მოავარც. პოლიტიკურად, არანაირი პროგრესი და წინწანევა არ გვაქვს. პირიქით, რეგრესია და ეს უნდა ვალიაროთ. ეკონომიკურ ურთიერთობებში წინ თუ წავინვივთ, უფლებს ვაა. თუმცა, როცა ვილაც საზღვარს გინევს და ბანერებს არჭობს, არ უნდა იძახო, სა-მაგიეროდ, რუსეთში მეტი მწვანელი გავიტანეთო. რუსეთის ისეთ რინგზე უნდა შევხედოთ, სადაც არბიტრიც იქნება.

— ჩვენი ხელით ხომ არ გაყავს დასავლეთი ამ რინგიდან, როგორც არბიტრი, მსგავსი განცხადებებით?
— ეს კატეგორიულად არასწორია. წარმოიდგინეთ, პუტინს თუ არავენ უშლის ხელს, რომ საქართველო ჩაყლაპოს, გვიხატ-რებს, სიმღერებით აუფუყებთ გულს თუ ჭაჭას დავალევირებთ?! დასავლეთის კი, უნდა თუ არა, რუსეთი მაინც უნევეს ანგარიშს. და-სავლეთის დახმარებას რუსეთთან ურთიერთობაში ურთიერთნატივა არ აქვს, მით უმეტეს, ეს ალტერნატივა რუსეთთან პირდაპირი დიალოგი ვერასოდეს იქნება! რუსეთთან დიალოგიც არ უნდა იყოს ჩვენი თვითმიზანი. ეს მხოლოდ იმისთვის გვეჭირდება, ისევე დასავ-ლეთს დავანახოთ, რომ პროვოკატორები არ ვართ და საუბარიც შეგვიძლია. არც კი მესმის მათი, ვისაც სანინალმდეგო აზრი აქვს.

— ასეთები კოალიციაშიც ხომ არიან?
— თვითკრიტიკული ვიქნები და პირდაპირ ვიტყვი:
ასეთი ილუზიები „ქართულ ოცნებაში“ არსებობდა და ჩვენ არც მაშინ ვიყავით ამის მომხრე. დღეს, ხელისუფლებაში მოსვლიდან 3 წლის თავზე, მინიმუმ ასეთი ილუზიები აღარ უნდა გვექონოდა — პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ეს სისულელაა. ქალბატონი ბურჯანაძე ხომ ჩაბრძანდა მოსკოვში და ეახლა რუსებს, ჰოდა, რა მესიჯი ჩამოგვიტანა?! ტერიტორიებს არ დაგობრუნებთ, არც არაფერს გავიკეთებთ, არ შეხვდით ნატო-ში და მარტო მე მელაპარაკეთო. ანუ, გააძლიერებს, რუსეთს უნდა მივანდოთ ჩვენი ბედის გადაწყვეტა? რამდენი რუსი ტურისტიც უნდა ჩამოვიტანო საქართველოში, ეს იმ ბანერის ერთი მეტრი გადმოწვევასაც ვერ გადმოწვინებს. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ყველა გაყიდული მწვანელი და ვაშლი რუსეთის ბაზარზე — ამ ყველაფერს ხურვალეთთან ჩარჭობილი ერთი ბანერი გადმოწვინებს!

— სად გადის რუსეთის პროვოკაციების მოთმენის გონივ-რული ზღვარი, როდემდე უნდა ვითმინოთ მცოცხალი ოკუპაცია?
— როცა რუსეთი არ ამწყვავებს ურთიერთობას, შენ პუტინს იდიოტი შეგნებულად არ უნდა ეძახო. თორემ, სხვა მხრივ, დასავ-ლეთთან მუდმივად უნდა გვექონდეს კონტაქტი და ყველა შესაძლებ-ლობა უნდა გამოვიყენო, რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებში საქართველო ერთ-ერთი მთავარი თემა იყოს. თუმცა ჩვენი პოლი-ტიკის ამოსავალი წერტილი ის არ უნდა იყოს, ოღონდ რუსეთი არ გავაძრაოთო. თუ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან ამოვალთ, ისე ვერასდროს მოვიქცევით, რუსეთი გავახაროთ.
— ახლა „შიდაომზე“ გადმოვიწვინოთ — მთელი საქართვე-ლო ვაკის პარკში, სუპერთასის ბილეთების რიგში რომ ათენებს და საკრებულო 300 ბილეთს იწერს, მერე კი ამბობს, ბილეთები სოციალურად დაუცველებისთვის გამოვიწერეთო, რას ნიშნავს? ვიცი, ბილეთი თქვენ არ ავიღიათ, მაგრამ საერთოდ, იცოდით, რომ ამას აპირებდა თქვენი უმრავლესობა?
— არათუ ბილეთი არ ამიღია, ეს საქციელი პრინციპულად არას-წორად მიმჩნია. ასეთ დროს, ნებისმიერი უწყებისგან მოთხოვნები, 300 და 500 ბილეთი მომეციო, აბსოლუტურად გაუმართლებელია. ასეთ თამაშს დაესწრება პრემიერი, სპორტის მინისტრი, საპატიო დელეგაცია, მაგრამ როცა ხალხი ამ ბილეთებისთვის თავს იკლავს, ვილაც ჩინოვნიკებმა ათასობით ბილეთი ამ გზით არ უნდა მიიღონ. რა დაამავა იმ ხალხმა, ვინც მესის სანახავად მართლა ცოცხალ რიგში ათენებს? ამ თემაზე საკრებულოში ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. მართალი გითხრათ, ვერც ის გავიგე, რას ნიშნავს, ბილეთები სოციალურად დაუცველებისთვის უნდა მიგვეცაო. რად უნდა სოციალურად დაუცველს ეს ბილეთი?! ასეთი ბილეთები მეც არ მჭირდება! ჩვენთან ბევრს არ ესმის, რომ სახელმწიფო მოხელეობა შენი პირადი კომფორტის მოწყობას არ ნიშნავს. პარლამენტში უკვე შესულია კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, რომელიც ვფიქრობ, დაარეგულირებს სახელმწიფო უწყებებში ძირითადი პერსონალის მუდმივობას და იმას, რომ ე.წ. საშუალო რგოლის მოხსნა და „თა-ვისთაების“ დანიშვნა ხელისუფლების მისვლა-მოსვლაზე არ იყოს დამოკიდებული.

— და ორი კითხვა, რაც თქვენს რაიონზე ყველას აინტერესებს: რა იქნება ზოოპარკის ადგილას და როდის გაიხსნება ვაკე-საბურთალოს შემართებული გზა?
— პრემიერის წინადადება სოლიდარობის პარკისა და რეკრე-აციული ზონის შესახებ, ვფიქრობ, სწორია და რამდენადაც ვიცი, ოფიციალურად, ახლაც ეს წინადადებაა ძალაში. მას მეც ვემხრობი, გარემოს დაცვის მინისტრიც და ამ ზონაში არანაირი მშენებლობა, კორპუსები და ბიზნესცენტრები არ შეიძლება! ხოლო დროებითი გზის აღდგენა სექტემბრის მეორე ნახევრისთვისაა დაგეგმილი. იქ გზა ისევე უნდა იყოს, თუმცა ფუნდამენტური ცვლილებების პრო-ექტი მოგვიანებით მომზადდება.

ნავთობკომპანიებს შორის ოფიციალური კავშირი „პერსიამ“ საიდენტიფიკაციო კოდავით გაუიფრა

მე-3 გვერდიდან

პატივს ვცემ სახელმწიფო უწყების მიერ გაცემულ დას-კვნას, მაგრამ გიმეორებთ, ნავთობკომპანიების წარმომად-გენლებს და ჩვენც — ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი, ვაფიქსირებთ პოზიციას, რომ ამ შემთხვევაში, კომ-პანიებს არ დაურღვევიათ კანონი „კონკურენციის შესახებ“. ამავ კანონით, კომპანიას უფლება აქვს, რომ 10 დღის ვადაში გასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, ისინი კანონით მინიჭებულ ამ უფლებას გამოიყენებენ“.

შსს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიაში“ აცხადებენ, რომ კომპანია ყოველთვის მიესალმებოდა და მიესალმება კონკურენტული გარე-მოს არსებობას ეკონომიკის ყველა სექტორში, რადგან ჯანსაღი კონკურენცია კომპანიების წარმატებულობისა და ფექტიანობის ერთ-ერთი წინაპირობაა: „მივსალმებით საქართველოში კონკურენციის სააგენტოს შექმნასა და მის ფუნქციონირებას. ყველა მენარმე ვალდებულია, ამ უწყებასთან ითანამშრომლოს და დაიცვას საქართველოს „კონკურენციის შესახებ“ კანონით დად-გენილი მოთხოვნები. რაც შეეხება კონკურენციის სააგენტოს მიერ „ვისოლ პეტროლიუმის“ მიმართ გამოტანილ გადაწყვე-ტილებას, გვსურს განვაცხადოთ, რომ ჩვენ არ დავიკრძევივა „კონკურენციის შესახებ“ კანონის არცერთი მოთხოვნა. გა-დანყვეტილების გამოტანამდე, 2015 წლის 8 ივლისს, ამ საქმეზე კონკურენციის სააგენტოში შემჯავამებული სხდომა გაიმართა, სადაც სააგენტოს ჩვენი არგუმენტირებული, პროფესიული და ობიექტური პოზიცია წარუდგინეთ. ჩვენდა სამწუხაროდ, საა-

გენტომ ჩვენი არცერთი ობიექტური არგუმენტი არ გაიზარა და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც ნეგატიურად შეაფასა ჩვენი საქმიანობა, „კონკურენციის შესახებ“ კანონთან მიმართე-ბაში. ვაფიქსირებთ, რომ არ ვეთანხმებით ამ გადაწყვეტილებაში მოყვანილ მოსაზრებებს და, ბუნებრივია, ჩვენი სიმართლის დამტკიცებას, კანონით მონიჭებული გზებით შევეცდებით“.

„ვერსია“ „რომპეტროლ საქართველოსა“ და „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ წარმომადგენლებსაც დაუკავშირდა, რომლებ-მაც აღნიშნეს, რომ ჯერ კონკურენციის სააგენტოს ვრცელ, რამდენიმეთაბასგვერდინ დასკვნას შეისწავლიან და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთებენ ოფიციალურ განცხადებას.

მართალია, კონკურენციის სააგენტომ ნავთობპროდუქტების ბაზრის შესწავლა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკ-ლი ლარიაშვილის დავალებით დაიწყო. 16 ივლისს გამართულ მთავრობის სხდომაზე პრემიერმა განაცხადა: „კონკურენციის სააგენტომ კვლევა დაასრულა და ეს აბსოლუტურად გამ-ჭვირვალე პროცესია. არ მინდა, რომ კომპანიები დაიძაბონ, პირიქით, ერთხელ და სამუდამოდ, ხელი უნდა შევუწყოთ საქართველოში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას. ჩვე-ნი პირდაპირი ვალდებულებაა, დავიცვათ მომხმარებლები, ასევე კომპანიის ინტერესები, მაგრამ ჯანსაღი კონკურენცია უნდა წავაახლისოთ, რაც ასოციაციების ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. თუ კომპანიებს პრეტენზიები ექნებათ, დავა სასამართლოში გავრძელებო. მთავრობა ამ პროცესში არ ერევა, ეს კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებაა“.

აქსკლუზიური ინტერვიუ ინდონეზიის საპატიო კონსულთან

მაკა ლომაძე
555-27-95-13

საპატიო კონსული საკმაოდ სპეციფიკური თანამდებობაა და ძირითადად, ისეთ ქვეყანას წარმოადგენს, რომლის საელჩოც არაა გახსნილი ქვეყანაში; თუმცა, არც ისაა გამორიცხული, ამა თუ იმ ქვეყანას, ერთდროულად, საელჩოც ჰქონდეს და საკონსულაც. ელჩისგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი, კონსული მაინცდამაინც მარწმუნებელი ქვეყნის მოქალაქე იყოს. ასე რომ, საქართველოში, აღნიშნულ თანამდებობებს ხშირად ქართველებიც იკავებენ. **ბიძე უზაპაძე საქართველოში ინდონეზიის ინტერესებს იცავს, თუმცა, როგორც ამბობს, ხშირად, მისი ფუნქცია ინდონეზიელი მოქალაქეების უფლებების დაცვა უფროა.** კოლეგები თბილ და მეგობრულ პიროვნებად ახასიათებენ. როგორ გახდა ინდონეზიის საპატიო კონსული საქართველოს მოქალაქე, თავად ვინაობის და ზოგადად, იმ ქვეყნის შესახებაც ისაუბრებს, რომელიც მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა, მისი ერთ-ერთი ულამაზესი სანაპირო ბალი კი, ქართველებს შორის უფრო და უფრო პოპულარული ხდება.

— პროფესიით მათემატიკოსი ვარ, მაგრამ 1996 წელს, მეგობართან ერთად გადავწყვიტე ბიზნესის გაკეთება და რომ იტყვიან, ბიზნესი მოგ ზაურობაში წაგვადიო. ჯერ დუბაიში ჩავიდით, მერე თითქმის თვეს განვიტოვე ტაილანდში ვიყავით, შემდეგ ცოტა ხნით სინგაპურში, მალაიზიაშიც მოვიარეთ და ბოლოს ინდონეზიაში, თითქმის ოთხი თვე დავრჩით. მაშინ, ბიზნესის თვალსაზრისით, ყველა ეს ქვეყანა ძალიან საინტერესო იყო. დუბაიში არ დაგვინტერესა, რადგან მწარმოებლებს ვეძებდით. აზია კი, ამ მხრივ, ზუსტად იმ პერიოდში, ნინა პლანზე გამოდიოდა. ვაპირებდით იმპორტს. მაგალითად, ტაილანდში ტრონიკული, უცხო ხილის კონსერვები იყო და ნახევრადპროფისი ქვეები. თითქმის გადავწყვიტეთ ამ მიმართულებით ბიზნესის კეთება, მაგრამ მერე ინდონეზიაში უფრო დაგვინტერესა — ნატურალური, ძვირფასი ჯიშის ხის ავეჯი შემოვიტანეთ. იმ დროს, საქართველოში ბიზნესი პრაქტიკულად არ არსებობდა. ბაზარი თავისუფალი იყო. ეს იყო ხის ძვირფასი ჯიშის ავეჯი. ბიზნესი მოგვიანებით უკრაინაშიც გავაგრძელებდი. სწორედ იმ პერიოდში, ინდონეზიაში ხშირად გვინევდა ჩასვლა და ერთადერთი ქართველები ვიყავით, ვისაც ამ ქვეყანასთან კავშირი ჰქონდა. უკრაინის ჩართვის მერე, ბრუნვა გაიზარდა. უკვე სერიოზულად ადგვიქვამდნენ. ორჯერ ვიყავი უკრაინის ოფიციალურ დელეგაციაში — ყირიმისა და ნახევრადოფიციალურ ბიზნესფორუმში. მაშინ გავიცანი სამთავრობო წრის წარმომადგენლები. მალე, უკრაინაში ინდონეზიის საელჩო გაიხსნა და როცა დადგა საპატიო კონსულის საკითხი, უკრაინელებმა მე შემომთავაზეს.

— საქართველოში როდინდან დაინიშნეთ ინდონეზიის საპატიო კონსულად?

— ოფიციალურად 2009 წელს, მაგრამ პრაქტიკულად ამ მოვალეობას 2001 წლიდან ვასრულებ. დღეს, გარკვეული ცვლილებების გამო, ინდონეზიის საპატიო კონსული ინდონეზიაში არ არსებობს, თუმცა ალბათ განვიახლებ. ჩემი მოვალეობაა, დავიცვა მარწმუნებელი ქვეყნის, ანუ ინდონეზიის რესპუბლიკისა და მოქალაქეების ინტერესები საქართველოში; ასევე ხელი შევუწყო ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას. რეალურად კი, უფრო ხშირად, ინდონეზიის მოქალაქეების უფლებების დაცვა მინევს.

— რატომ, რა პრობლემები ექმნებოდა?

— საინტერესო ისტორიებია... მაგალითად, ერთხელ დაიკარგა გემი, რომელზეც ინდონეზიელი მეზღვაური იყო. ბევრი ვეძებთ ბათუმში და ბოლოს, ნოვოროსისისკის პორტში აღმოჩნდა; მასხენდება ერთი ხიფათიანი ტურისტები, რომელსაც პრობლემები ჯერ საზღვარზე შეექმნა, ვიზის აღებისას, მერე სამი თვე გაჩერდა აქ. ამ ხნის განმავლობაში სილნალში საბუთები დაკარგა. როგორც იყო, მოვარგა ერთი ყველაფერი და წავიდა სვანეთში, სადაც ფეხი მოიტეხა... მოკლედ, ამ ტურისტმა ძალიან ბევრი გვანერვიულა, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა; კიდევ ერთ ისტორიას ვიამბობთ — ინდონეზიელი ქალი, საქართველოში ერთ-ერთი კომპანიის გენერალურ მენეჯერზე, ბრიტანეთის მოქალაქეზე გათხოვდა. ეს ქალბატონი დუბაიში მუშაობდა და საქართველოში მოაწერეს ხელი. ბევრი პრობლემა შეიქმნა. პატარძლის მეჯვარე მე ვიყავი. როგორც წესი, ჩემზე ახლობელი აქ არავინ ჰყავთ და ამიტომ ხშირია ასეთი შემთხვევა. ბევრი ვინვალეთ და ბევრი საბუთის გაფორმება მოგვიწია. ძირითადად, მათი პრობლემები სწორედ საბუთებს უკავშირდება. კარგია, რომ ბევრს დავეხმარე კონტაქტების დამყარებაში. ბოლო 6 წლის განმავლობაში ინდონეზია ძალიან საინტერესო გახდა, რადგან ნინა მთავრობის ეფექტური მუშაობის გამო, სწრაფად განვითარდა. მთლიანი შიდა პროდუქტი ორჯერ გაიზარდა და ტრილიონ ორას მილიონზე მეტია. მსოფლიოში ქვეყანა ეკონომიკით მე-16 ადგილზეა, თუმცა დასაქმებულია 50-100 მილიონი ადამიანი, არადა მოსახლეობა 250 მილიონზე მეტია. ასე რომ, დანარჩენები ძველად უკიდურეს სიღატაკში ცხოვრობენ.

— საქართველოში ურბანისტიკა დიდი პრობლემაა. რამდენად მწვავედ დგას ეს საკითხი ინდონეზიაში?

— ურბანისტიკა თვალშისაცემია. ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა 17 წლის წინ 15-მილიონიანი ქალაქი იყო, ახლა იქ

ნაცომ იბრება ქართველი წერისცების რიცხვი კუნძუდ ბადიზე და რაც ვერ ჩამოდიან საქართველოში სასწავლებლად ინდონეზიელი სწუდენები

20-მილიონი ადამიანი ცხოვრობს. თუმცა, ძველ ქალაქს იცავენ და მოსახლეობა, უცვლელად, 9-10 მილიონი დარჩა. გარეუბნები იზრდება და ახლომდებარე ქალაქები ნელ-ნელა ჯაკარტის შემადგენლობაში გადადის. ძალიან არ მომწონს, რომ ყველა მშენებლობა თბილისის ცენტრშია. გადაიტვირთა ქუჩები. იქამას ხელს უშლიან. ცენტრალურ ნაწილებში, დიდი მშენებლობა მხოლოდ მაშინ იწყება, თუ რაღაცას ანგრევენ და იმავე ადგილას აშენებენ ახალს. იქ ბევრი პარკია და არც ერთი მშენებლობა არაა.

— ამბობთ, რომ ბევრს დაეხმარეთ კონტაქტების დამყარებაში. საქართველოს ბევრ მოქალაქეს აქვს დღეს ინდონეზიაში ბიზნესკავშირი?

— დიხს და საკმაოდ წარმატებულიც... ორმხრივ ურთიერთობებში ინდონეზიის ინტერესი და პრიორიტეტი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებაა. ტურისტების რიცხვმაც იმატა. ბალიზე ჩავიდი. ვნახე, რა ფასები და პროდუქტი იყო და მივანოდე ინფორმაცია ტურისტულ კომპანიებს. მათ წარმომადგენლებთან ორი ფორუმშიც ჩატარდა, ინდონეზიელები ჩამოვიდნენ, შემდეგ ჩვენი კომპანიების წარმომადგენლებიც ჩავიდნენ ბალიზე. ამ საოცარ კუნძულს ნელინადმი დაახლოებით 30 ადამიანი სტუმრობს საქართველოდან. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. იქ უმალესი ხარისხის მომსახურებაა, თანაც საკმაოდ იაფად. დაახლოებით თურქეთის ფასებია. ყველაზე იაფია დუბაის გავლით ჩასვლა. ბევრი ვეცადეთ, ჩართვი გაგვეკეთებინა უკრაინელებთან და სომხებთან, რადგან ჩვენი ტურისტებით თვითმფრინავს ვერ ვავსებდით, მაგრამ სამსუბაროდ, ტექნიკურად რთული აღმოჩნდა და ინდონეზიურმა კომპანიამ თქვა უარი.

— კუნძულ ბალიზე ტურისტებს ყველაზე მეტად რა ხიბლავს?

— საინტერესო და განსხვავებული ადგილია. იქ ცხოვრობენ ინდონეზიელები, რომელთა რელიგია ინდუიზმია. საკმაოდ მკაცრად იცავენ რელიგიურ წესებს. წესიერი, განსხვავებული ხალხია. ბევრი ტაძარია, მაგრამ ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესო მათი ბუნებაა. განსაკუთრებით — პლაჟი, საოცარი ლაგუნებია. ტურისტებს ძალიან მოსწონთ „დაივიგი“. კულტურაც თავისებურია — მაღალი ღონის ცეკვები, სიმღერები აქვთ. ზოგადად, ძალიან მხიარული ხალხია. აქვთ ორიგინალური მხატვრობა. კუნძული ბალი ფრანგებმა 60-იანი წლების დასაწყისში, 20 წლით იჯარით აიღეს, ააშენეს და ექსპლოატაციას უწყვედნენ. მოლაპარაკების შედეგად, მთავრობამ დაიბრუნა. კარგად უვლიან. ყველაფერი ევროპულ სტანდარტებშია, მაგრამ ინდონეზიურ სტილში. ბალის არქიტექტურა თავისებურია. ფინანსების მიხედვით, სხვადასხვა ადგილი შეგიძლიათ აირჩიოთ, მაგრამ მერმუნეთ, სამგარსკვლავიან სასტუმროშიც არაჩვეულებრივი დასვენება გელოთ. კუნძული, საქართველოსხელა. უცნაურია, რომ ყველაზე ფემინებელი სასტუმროც კი, დაბალი შენობაა, რადგან პალმა წმინდა ხედ ითვლება და მასზე მაღალ შენობას არ აშენებენ. მაგალითად, „ჰილტონი“ შეიძლება იყოს ძალიან განიერი, მაგრამ მხოლოდ სამი სართული. ზოგადად, ქვეყნის კლიმატიც საინტერესოა, რადგან ეკვატორთანაა და მთელი წელი 29-33 გრადუსია. ერთხელ ტემპერატურა 27 გრადუსზე ჩამოვიდა და მძლოლი გაგვიცივდა. ქარი თითქმის არ არის. ტიპური, ტროპიკული ჰავაა.

— როგორია, მათი ეროვნული კულტურა?

— მთელი ინდონეზია საინტერესოა თავისი კულტურით. ყველა კუნძული თავისებურია. ენებიც იმდენად განსხვავებული იყო, რომ ერთმანეთის არ ესმოდათ. 4 ძალიან დიდი, დაახლოებით 15 ათასი დიდი და უამრავი, პატარა, ძირითადად დაუსახლებელი კუნძულია. ინდონეზიური ერთადერთი ხელოვნური ენაა მსოფ-



ლიოში, რომელიც ფუნქციონირებს. ეს ენა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, გაერთიანებისთანავე შეიქმნა, რადგან, როგორც გითხარით, ერთმანეთის არ ესმოდათ. ნაწილი საუბრობდა მალაიზიურ დიალექტზე, რომელიც ბაზად აიღეს და სხვადასხვა ადგილობრივი ენებიდან ინტეგრირებული მიამატეს. ბიზნესნაწილი ინგლისურიდან შეიტანეს. დამწერლობა ლათინურია და რაც მთავარია, გრამატიკა თითქმის არ აქვს. ულამაზესი და ლაკონური ენაა, მოკლე სიტყვებით. ინერუბა ისევე, როგორც იკითხება. ამ ენას ჰქვია „ბახსა ინდონეზია“ (ილაპარაკე ინდონეზიურად), მთელი ინდონეზიაში მოქმედებს, თუმცა ჯერ კიდევ არის ბევრი ადგილი, სადაც არ იცინა. ინდონეზიაში არის უამრავი მთა, ალუნეზიელი მოსახლეობა, გაუფალი ჯუნგლები... ყველაზე დიდი მუსულმანური ქვეყანაა. რელიგია არაბებმა შეიტანეს, რომლებიც აქ 400 წელი ბატონობდნენ. მანამდე, 200 წელი, ინდოელების კოლონია იყო. ჰოლანდიელების კოლონიასაც წარმოადგენდა და იაპონიისასაც, თუმცა რელიგია თავს მხოლოდ არაბებმა მოახვიეს და ამიტომ, ისლამი დომინანტია. კოლონიზაცია მე-8 საუკუნეში დაიწყო. მანამდე, მხოლოდ ველური ტომები ცხოვრობდნენ.

— როგორი გაცვლითი ურთიერთობები გვაქვს ინდონეზიის მკვიდრებთან?

— ორჯერ გვქონდა ინდონეზიის დღეები საქართველოში. ფოლკლორული კონცერტი ჩატარდა თბილისში. ორივე ღონისძიება, კულტურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების დახმარებით, უკრაინაში ინდონეზიის საელჩოში მოაწყო. გვქონდა ორი ბიზნესფორუმიც. ხშირია პატარა-პატარა ფორუმებიც, მაგალითად, ყავის ბიზნესის, ტურიზმის სფეროში. საქართველოში ყველაზე მეტი ინდონეზიური ყავა იყიდება. კიდევ შემოაქვთ შიგინის საშუალებები, მაგალითად საპონი. საქართველოდან, სამსუბაროდ, მხოლოდ ჯართის ექსპორტია დაფიქსირებული. ორჯერ ვიყავი სპეციალურად ღვინის პოპულარიზაციის მიზნით. იქ, ძირითადად, ავსტრალიური ღვინია. პატარა გამოფენაც მოვანყვეთ, ჩვენი საელჩოს 26 მაისის ღონისძიების ფარგლებში (საქართველოს საელჩო შარშანწინ გაიხსნა). რელიგიის გამო, ღვინოს არ სვამენ, თუმცა იქ ბევრი უცხოელი მუშაობს. ღვინოს მიერთმევენ ადგილობრივი ქრისტიანი ჩინელებიც. შევხვდით მათი სომეხების ასოციაციის პრეზიდენტს, რომელიც იმდღეა, საქართველოში ჩამოვა. ღონისძიება კარგად იყო ორგანიზებული, გაფორმებული, ეთნოგრაფიის ანსამბლი „ირია“ გვყავდა. იმდენად მოეწონათ, პოპულარულ ფესტივალზე „ჯავა-ჯავი“ მიიწვიეს. ასევე, ხშირად ტარდება სამეცნიერო საერთაშორისო სასკოლო ოლიმპიადები, რომლებშიც ჩვენი ბავშვებიც მონაწილეობენ. ჩატარდა საქარაკო ოლიმპიადაც. ახლა გააქტიურდნენ ფოთის პორტის მიმართულებით, რადგან ხედავენ, რომ ეს ერთადერთი გზაა დიდი რეგიონისკენ. მთხოვეს, საბაჟო კანონმდებლობის შესახებ ანალიზი. არის გაცვლითი პროგრამების ინტერესიც, მაგრამ სტუდენტები ვერ ჩამოდიან სიმორის და საერთო საცხოვრებლის არარსებობის გამო. ჩემი აზრით, აქტიურობა არ არის საკმარისი, მაგრამ აქაც შეიცვალა მთავრობა და იქაც, ამიტომ შეფერხდა კავშირები. წელს გვინდა, მოვანყვით საკვები პროდუქტის გამოფენა და სხვადასხვა ღონისძიებები.


ვერსიანიუსი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციას საპროტესტო ნოტა გადასცა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს მეშვეობით, რუსეთის ფედერაციას საპროტესტო ნოტა გადასცა. ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს: „ქართული მხარის ინიციატივით, საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან გიუნტერ ბეხლერთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე ქართულმა მხარემ შვეიცარიის ელჩს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა

2015 წლის 10 ივლისს რუსეთის ფედერაციის მიერ გორის რაიონის სოფელი ნითელუნის და ოკუპირებული ახალგორის სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისი-გორის ცენტრალური ავტომაგისტრალის სიახლოვეს აღმართული ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების უკანონოდ განლაგების შესახებ და დაგმო რუსეთის პროვოკაციული ქმედება, რომელიც ადგილზე ვითარების დესტაბილიზაციას იწვევს. შვეიცარიის მხარეს, ასევე, გადაეცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა და მისი რუსეთისთვის გადაცემის უზრუნველყოფა ეთხოვა. საუბრისას ბეხლერმა საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების აღმართვის, აღმნიშვნელი სოფლის სიახლოვეს მდებარეობს ბაქო-სუფსას მილსადენის გარკვეული მონაკვეთები, განხორციელებული ქმედებების შედეგად კი, სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნავთობსადენის გარკვეული ნაწილი

„პირველი“

ზურაბ ჟვანია



საანდლური საქმე

საქვიალური რეკორბაჟი სასამართლო პროცესიდან

სასამართლო პრემიერის პირადი მძღოლი დაკითხა

რაჭომ შეცვდა მანქანა და დაითხოვა მძღოლი, ვინ მიიყვანა კონსპირაციულ ბინაში ზურაბ ჟვანია

ენი ჯაფარიძე 571-17-00-02

15-16 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას დაცვის თანამშრომლების, მიხეილ ძაძამიასა და კობა ხარშილაძის საქმეზე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები და გარდაცვლილი პრემიერის პირადი მძღოლი დაკითხეს. დაკითხულთა უმეტესობას ზურაბ ჟვანიასთან და განსასჯელებთან მხოლოდ სამსახურეობრივი მოვალეობა აკავშირებდა. 2005 წლის 2 თებერვალს, ისინი სახლში იმყოფებოდნენ და ინფორმაცია პრემიერის გარდაცვალების შესახებ დილით, მედიის მეშვეობით შეიტყვეს.

16 ივლისს, სასამართლო პროცესზე, პროკურორები და დაცვის მხარის წარმომადგენლები ცდილობდნენ გაერკვიათ, რა კონკრეტული ვალდებულებები ეკისრებოდათ დაცვის თანამშრომლებს დასაცავი ობიექტის მიმართ და რით განსხვავება ერთმანეთისგან მათი და პირადი დაცვის თანამშრომლების მოვალეობები. ოპერატიული სამსახურის თანამშრომლები გარეპერიმეტრის კონტროლს აწარმოებდნენ. კერძოდ — იმ ტერიტორიების მონიტორინგსა და შემოწმებას, სადაც პრემიერ-მინისტრი გადაადგილდებოდა. გარდა იმ ადგილებისა, რომლებსაც ზურაბ ჟვანია სისტემატიურად სტუმრობდა (მაგალითად, დედის სახლი შარტავას ქუჩაზე, წყნეთის აგარაკი, სკოლა), მოწმედბოდა ის ადგილებიც, სადაც პრემიერი გარკვეული დროით იმყოფებოდა. ასეთი იყო მაგალითად ლაგუნა ვერეს საცურაო აუზი, სადაც პრემიერი, გარდაცვალებამდე, პრაქტიკულად, დღეგამოშვებით დადიოდა.

დაცვის თანამშრომლების განმარტებით, მსგავსი ღონისძიებების მიზანი პოტენციური საფრთხის გამოვლენა იყო. კერძოდ კი იმ ადამიანების, ვინც შესაძლოა ყოფილი პატიმრები ყოფილიყვნენ, ან რაიმე ფსიქიკური აშლილობები ჰქონოდათ. მსგავსი ტიპის ადამიანებს სპეცსამსახურის თანამშრომლები დეტალურად იკვლევდნენ, საჭიროების შემთხვევაში კი ინფორმაციას ზემდგომ ორგანოებს, მაგალითად შინაგან საქმეთა სამინისტროს აწვდიდნენ.

პროცესზე დაკითხული დაცვის თანამშრომლების უმეტესობა თანხმდებოდა, რომ დაცვის თანამშრომლების მხრიდან დაცვის ობიექტის დატოვება, კანონის უხეში დარღვევა იყო. თუმცა ითქვა ისიც, რომ ზურაბ ჟვანიას ხშირად ჰქონდა არაოფიციალური, კონფიდენციალური შეხვედრები და დაცვის გარეშეც გადაადგილდებოდა. ამ ინფორმაციას არ ადასტურებს და პირიქით, კატეგორიულად უარყოფს, გარდაცვლილი პრემიერის პირადი მძღოლი გიორგი თენგიშვილი. მისი თქმით, პრემიერი დაცვის გარეშე არასოდეს გადაადგილდებოდა.

სასამართლო პროცესზე ზურაბ ჟვანიას პირადმა მძღოლმა ისიც განაცხადა, რომ გარდაცვალების დღეს, პრემიერი ბოლოს შარტავას ქუჩაზე მიიყვანა. რის შემდეგაც, ქვეყნის იმჟამინდელმა მეორე პირმა პირადი მანქანის მიყვანა სთხოვა და იგი იმ დღეს, დაითხოვა: „2005 წლის 2 თებერვალს რაიმე გასვლა არ ყოფილა. ერთადერთი, აუზზე წავიყვანეთ. მერე კანცელარიაში წავედით. დაახლოებით 10-11 საათი იქნებო-



და, როცა ჩამოვიდა პრემიერი და წავიყვანეთ დედამისის ბინაში. ესკორტით გადავადგილდებოდით. მერე მიიხრა, შენ დაისვენე, აღარ მჭირდებიო. მასეც მოვიქეცი. წინა ესკორტის მანქანა ადგილზე დავტოვე. გაავაკეთეთ ცრუ ესკორტირება წყნეთის მიმართულებით და დავიშალეთ“.

დაცვის თანამშრომლები ვალდებულები იყვნენ პრემიერის გადაადგილების შესახებ ინფორმაცია ცენტრისთვის ეცნობებინათ. თუ ინფორმაცია დროულად შედიოდა (1 ან 2 საათით ადრე), სპეცსამსახურის თანამშრომლები მაქსიმალურად ცდილობდნენ, პერიმეტრი შეემოწმებინათ, თუმცა როგორც გაირკვა, ზოგჯერ შემოწმება რთულდებოდა, რადგან ცენტრში ინფორმაცია რამდენიმე წუთით ადრე შედიოდა.

ცენტრი 1-ის უფროსის, მამუკა ფეიქრიშვილის განმარტებით, გარდაცვალების დღეს კავშირი პრემიერთან შარტავას ქუჩაზე მისი ყოფნის შემდეგ დაიკარგა — ცენტრში აღარ შესულა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დედის ბინის შემდეგ, ზურაბ ჟვანია სადმე წავიდა. ცხადია, არც „ცრუ ესკორტის“ შესახებ იცოდნენ რამე.

სასამართლო სხდომაზე გაირკვა, რომ საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს სპეცსამსახურის თანამშრომლებმა არ იცოდნენ, რომ პრემიერი დედას თანამშრომელს მიღებული ინფორმაციის ჟურნალში ჩაიბეჭდა დაავიწყდა. თუმცა, „შავი ყუთის“ გახსნის შემდეგ, რომლის გახსნასაც გენინსპექციის თანამშრომლები ესწრებოდნენ დადასტურდა, რომ მსგავსი ინფორმაცია „ცენტრში“ წამდვილად შევიდა.

ცენტრი 1-ის ხელმძღვანელმა ისიც განმარტა, რომ მათი სამსახურისთვის მნიშვნელოვან არ ჰქონდა პრემიერის კოლონა აწარმოებდა თუ არა ცრუ ესკორტს — ცენტრში ინფორმაცია ზურაბ ჟვანიას ნებისმიერი გადაადგილების შესახებ შედიოდა.

სასამართლო სხდომაზე, გარდაცვლილი პრემიერის პირადმა მძღოლმა იმაზეც ისაუბრა, დაცვის უფროსმა, კობა ხარშილაძემ, კანცელარიის სეიფიდან გაიტანა თუ არა პრემიერის პირადი ნივთები. მან დაადასტურა,

რომ ხარშილაძე სამსახურის მანქანით კანცელარიის ცენტრალურ შესასვლელთან მართლაც მიიყვანა. 10-15 წუთის შემდეგ დაბრუნებულ ხარშილაძეს კი ხელში ცელოფანი ეჭირა. კონკრეტულად რა წამოიღო კანცელარიიდან ხარშილაძემ, მძღოლს მისთვის არ უკითხავს: „სადაც გამთენიისკენ, დაახლოებით 5 საათი იქნებოდა, დამირეკეს და მიიხრეს, რომ კანცელარიაში გამოვცხადებულყავი. მერე მიიხრეს, რომ საბურთალოს ქუჩაზე, ეკლესიის მიმართულებით გადავადგილებულყავი. იქ დაახლოებით 15-20 წუთში მივედით. ბატონი ზურაბი რომ გაზით გარდაიცვალა, სწორედ კობა ხარშილაძისგან გავიგე. შემდეგ კობა გამოვიდა და მიიხრა, კანცელარიაში უნდა წავიდეთო. მე და კობა წამოვედით. ავედით კანცელარიაში. მანქანა ცენტრალურ შესასვლელთან გავჩერე. იქ, სადაც ჩვეულებისამებრ ვაჩერებდი ხოლმე. კობა კანცელარიიდან 10-15 წუთში დაბრუნდა. ხელში ცელოფნის პარკი ეჭირა. შიგნით რა იდო, ჩემთვის ცნობილი არ არის. 20-თეთრიანი პარკი რომ არის, აი, დაახლოებით ისეთი ეჭირა. ამის შემდეგ ისევ საბურთალოზე დავბრუნდით, მაგრამ მეორე მანქანაში გადავჯექი. ის მანქანა კობას დავუტოვე. მოგვიანებით, მეორე მანქანა გადავადგილდით“.

მძღოლმა ისიც განმარტა, რომ კონკრეტულად იმ ბინის შესახებ, რომელშიც გარდაცვლილი პრემიერი ნახა, მანამდე არაფერი იცოდა. თუმცა, ზოგადად, ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრემიერის დაცვის ერთ-ერთ წევრს, მიხეილ ძაძამიას, რომელიც დღეს განსასჯელია, საბურთალოზე, ბინა პირადი ინტერესებისთვის — „გასართობად“ ჰქონდა ნაქირავები.

„ვერსიას“ პირად საუბარში, ერთ-ერთმა წყარომ დაუდასტურა აღნიშნული ინფორმაცია და განაცხადა, რომ ძაძამია წამდვილად იყენებდა ამ ბინას პირადი მიზნებისთვის, თუმცა ისიც გავიგებინა, რომ ამ ბინას პრემიერიც ხშირად სტუმრობდა და მას კონსპირაციული შეხვედრებისთვის იყენებდა.

დაცვის მხარის განმარტებით, მათ შუამდგომლობა დააყენეს იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში აუცილებლად ჩაიდოს ფედერალური ბიუროს დასკვნა. ადვოკატები ამბობენ, ინფორმაცია, თითქოს საბურთალოზე მდებარე სახლში ანაბეჭდები არ არსებობდა სიცრუეა და თუ ამ მასალებს პროცესზე მოიტანენ, ამის დამტკიცებას შეეძლებოდა. მორიგი პროცესი 17 ივლისს გაიმართება. სახელმწიფო დაცვის სპეციალური თანამშრომლების დაკითხვის დასრულების შემდეგ, მიხეილ მაჭავარიანი, ხათუნა გოგორიშვილი და გია ბარამიძე უნდა დაკითხებინან.



სკანდალურ სასამართლო პროცესზე, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მომენტი, ნინო ქადაგიძე-ჟვანია გახლდათ, რომელიც 14 ივლისს დაიკითხა. „ვერსია“ გარდაცვლილი პრემიერის მეუღლის ჩვენების მნიშვნელოვან დეტალებს კომენტარის გარეშე გთავაზობთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს არც სტენოგრაფია და არც აუდიოჩანაწერი — სასამართლო პროცესზე, კალმით ჩავინიშნეთ ის დეტალები, რომლებიც, ვფიქრობთ, მკითხველს დაინტერესებს.

მოსამართლე: იცნობთ თუ არა დაცვის წევრებს, მიხეილ ძაძამიასა და კობა ხარშილაძეს?

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: ვიცნობ, რა თქმა უნდა. ჩვენი დაცვის წევრები იყვნენ. ურთიერთობა გვქონდა ნორმალური.

რევაზ ნადო, პროკურორი: ვინ იყო თქვენთვის ზურაბ ჟვანია და რა ურთიერთობა გაქვთ მასთან?

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: ზურა ჩემი მეუღლე იყო 12 წელი. არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი. ცოტას ვლაპარაკობ, მაგრამ ბევრი რამ უნდა ვთქვა. ეს მნიშვნელოვანია. ზურა ჩემი მეუღლე იყო 1993 წლიდან. 8 წლის იყო, რომ ვიცნობდი. იმ დროს რაც მოხდა, ზუსტად გამოხატავს ბევრ რამეს ჩვენს ურთიერთობაში. წინა დროს, დილის ხუთ საათამდე არ გვეძინა. მეორე დღეს ჰქონდა მთავრობის სხდომა. მთელი დღე მუშაობდა ხოლმე. რაც გავიცანი ზურა, მას შემდეგ სულ მუშაობდა. ერთადერთი კვირა დღეს იყო ოჯახში, ბავშვებთან ერთად. ხან ეკლესიაში დავდიოდით, ხან ქალაქგარეთ. დანარჩენი, მთელი დღის განმავლობაში დაკავებული იყო. მე არ ვიცნობდი მეორეს ასეთ ადამიანს, რომელსაც შეეძლო ამხელა კონცენტრირება მოეხდინა და ამდენი ემუშავა. 12 იყო დაწყებული, რომ ველაპარაკე. საერთოდ, მეც დაკავებული ცხოვრების წესით ვცხოვრობდი. სოციალურად აქტიური ვიყავი. 3 ბავშვი გავაჩინე, არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოვყავალივ. მეც იგივე რეჟიმში ვცხოვრობდი.

3 საათზე გამოვედი. არ დამხვდა ზურა გვერდით და მაშინვე დავინწყე ძებნა. ის არ მპასუხობდა. მე შევეცდებო აგისხნათ, რატომ მგონია, რომ ესენი ტყუიან. არ მახსოვს, ზურასთვის დამერეკა და 10 წუთში არ გადმოერეკა. მე მთელი 12 წლის განმავლობაში, რაც ზურას ცოლი ვიყავი, შიშით ვცხოვრობდი. მე რომ ვაყვეყი, მაშინ მხედრობი იყო და სულ საშიში იყო. სულ მეშინოდა, დამე სულ ვიღვიძებდი, სუნთქავს თუ არ სუნთქავს. ეს იყო ჩვენი ურთიერთობის მუდმივი რეჟიმი. კიდევ რომ დავრეკე, მერე ძაძამიამ მიპასუხა. მეუბნებოდა, 10 წუთში გადმოერეკე, შეხვედრავი. არ დამალაპარაკა. ფეხით წამოვედი წყნებით. მანქანა შუა გზაზე დამანდეს. ცოტა ხანში კიდევ დამირეკეს და მითხრეს, ზურა ცოცხალი აღარ არისო. ხარშილაძე შიგნით არ მიშვებდა. როცა შევედი, ერთადერთი, რაც მახსოვს, ეს იყო თეთრი პერანგი. ერთადერთი, რაც მაინტერესებდა ის იყო, ცოცხალია თუ არა. ცხედრის გარდა, არაფერი მახსოვს. ჯერ დედამისთან მივედი და ეს ყველაფერი გავაგებინე. ეზოში ძალიან ბევრი ხალხი იყო. ეს დაახლოებით ექვსის ნახევარი იქნებოდა.

უმეტესობამ აღბატი იცის, როგორი პოლიტიკოსი იქნებოდა ზურა, რაც აკეთებდა და როგორი ადამიანი იყო. სრულიად შეპყრობილი იყო ქვეყნის შენების იდეით. 31 წლის იყო პარლამენტის თავმჯდომარედ რომ აირჩიეს. შინაგანად იყო ნესიერი. სახლში მკაცრი იყო. ჩვენ მკაცრად ვცხოვრობდით. ბიუჯეტის იყო 1000-მდე ლარი. მკაცრი ბიუჯეტი გვქონდა. ვერ მოსთხოვდი. იყო მორბენალი და ტრადიციული. არავის ვასწავლი, მაგრამ ვყვები იმას, როგორი იყო. სახლში რომ შემოვდივოდა, სანამ გამარჯობას იტყოდა, სანთელს ანთებდა. ყველაფერი ხომ ლოკიაზეა აწყობილი, არა? არც ერთი ნაბიჯი წინა ნაბიჯის გარეშე არ არსებობს. ზურას გარდაცვალების შემდეგ დავრჩით სრულიად ყველანაირი სახსრების გარეშე.

უნდა ითქვას, რომ რაც გამოძიებაში ითქვა, ეს ყველაფერი არის ტყუილი. ამასობაში, რალაც არანორმალურად მოიმიატა CO-ს მაჩვენებელმა. ყოველდღე იცვლებოდა, ხან 18 იყო, ხან 64, ხან — 74. მერე აღმოჩნდა, რომ გაზი გაითიშა. მე გიყვებოდა როგორც ადამიანი. თქვენც ხომ გაგინდებოდათ შეკითხვები?

ხარშილაძე წავიდა, დღისა და 1 ზარი არ გაუკეთებია მის დაცვის ობიექტთან, მივიდა თუ არა ის ადგილზე. ძაძამია კიდევ იმას ამბობს, ტელეფონი დასატყენი მქონდაო. რალაცას ბოდავენ. CO-ს სუნი არ აქვს. ხარშილაძემ კი თქვა, გაზის შიშინის ხმა გავიგე და გამოვრთეო. დამე მივედით მე და კობა და გარეთ არავინ არ გამოსულა. ბოლოს ერთმა მეზობელმა გავგილო სადარბაზო. ხალხი შეშინებული იყო და გარეთ არ გამოდიოდა. ეტყობა უთხრეს, არ გაეკაროთო. მწველ ზურას, რომელიც ორ „პაჩკას“ ეწეოდა დღემდე, ფიქრობთ ფანჯარა დაკეტილი ექნებოდა? მერე აღმოჩნდა, რომ საკეტი საერთოდ არ მუშაობდა და ფანჯარა არ იკეტებოდა. მერე გაზი შეამონ-მეს და აღმოჩნდა, რომ CO არ აღემატებოდა ნორმას. გაზის გამათბობელზე არ აღინიშნებოდა ნამწვი. გეკითხებით, ეს შეკითხვები მე უნდა გამჩინოდა თუ გამოძიებას?

ახლა რაც შეეხება სააკაშვილს. მასთან ორჯერ მივედით. პრეზიდენტმა გვითხრა, ოღონდაც ექსპერტიზას თავი დაანებებთ და რაც გინდათ, ის მთხოვეთ.

როდესაც ზურას სისხლჩაქცევების ფოტოები ვნახე, ადე-იშვილს ვუთხარი. მითხრა, სად არის აბა ფოტოები, მაჩვენეო. როცა უნდა მიგვეტანა ეს ფოტოები, საქმეში აღარ იდო. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ კუჭში მოხარშული ძხვი ჰქონდა. ადამიანი, რომელიც დეტაზე იყო, დამე თხვებს შეჭამდა? მერე ვინც გააკეთა ექსპერტიზა, ის არ დაგველაპარაკა. ამ ამბების შემდეგ, კობა მიდის და ხსნის ზურას სეიფს. რატომ აკეთებს ამას? არავინ იცის, ოჯახის არც ერთმა წევრმა. მიდის პარტი-



ნინო ქადაგიძე-ჟვანიას ჩვენება

ის ოფისში კანცელარიაში და ხსნის სეიფს. მერე აღმოჩნდება, რომ რალაცები აკლდა. ზურას ჩუქნიდნენ ხოლმე სანადირო თოფებს, რომლებიც არ იყო რეგისტრირებული. შესაძლებელია, იქ მნიშვნელოვანი მასალა ყოფილიყო. ეს პერიოდი იყო, როდესაც ის აირჩიეს პრეზიდენტად. და მოჰყვა მერაბიშვილი, ადგიშვილი, ოქრუაშვილი, რომლებიც ზურას საერთოდ იგნორირებას უკეთებდნენ. ზურა ჟურნალისტიკისგან გეზულობდა ყველაფერს. ცხინვალი, სამარაბლო და ცხრილეს. ზურა ხან გენერალს ურეკავდა, ხან ვის და სულ პირადი ურთიერთობებით აგვარებდა ყველაფერს. ერთხელ მითხრა, წასვლა მინდა, მაგრამ სად წავიდე, ეს ქვეყანა ვის დაგუტოვო. რჩევების მიცემა არავისთვის ენანებოდა. ყველას აძლევდა რჩევებს განურჩევლად.

ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, ძალიან ძნელი იყო ეს წლები, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს წლები მაინც მაგრად გავიარე. ჩემი ოჯახი, ჩემს გვერდით შვილები და სწორედ იგებენ ყველაფერს. ზურასაც ცოცხლად ხედავენ, იმ რწმენით ვცხოვრობდით. ყველა ზნეობრივი ადამიანი, ვინც პოლიტიკაში მოვიდა, სიცოცხლეს ძალადობრივად ამთავრებდა. მე ფიქრობ, რომ როდესაც ადამიანი რალაცას აკეთებს, უნდა დაიხაჯოს. ეს არის ორჯერ ორი.

რაც მე და ზურა ერთად ვცხოვრობდით, სულ გვყავდა დაცვა. ისინი ჩვენთან სახლში ცხოვრობდნენ. მე მევალებოდა დილის შვიდზე რომ გასულიყვნენ სახლიდან, საუზმე მომეზადებინა. დამის სამზე რომ მოსულიყვნენ, ვახშამი, ზურა მეტყოდა ხოლმე. ბიჭები მიხედულები უნდა ყოფილიყვნენ. ზურა ყველას ვანსაკუთრებით ადამიანურად უდგებოდა.

რევაზ ნადო: ზურა, როგორც დასაცავი ობიექტი, პრობლემაური იყო?

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: არ ვიცი. ვერ გეტყვით. ჩემთვის, როგორც ცოლისთვის თუ არასდროს არ ყოფილა პრობლემატური, დაცვის წევრებისთვის რატომ უნდა ყოფილიყო? არ მგონია, რომ მისი დაცვა სირთულეს წარმოადგენდა.

რევაზ ნადო: ძაძამიას რომ ელაპარაკეთ, მშვიდი ხმა ჰქონდა?

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: კი ბატონო. არანაირი აღლევება არ ეტყობოდა. შეხვედრაზე არისო, 1 საათი ასე მაჩერებდა. აღბატი არ იცოდა, თორემ ასე მშვიდად როგორ მეტყოდა, არ ვიცი.

რევაზ ნადო: ექსპერტიზას თუ დაესწარით?

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: ეს გოგლას მოთხოვნით ჩატარდა. მე არ ვესწარებოდი. ის თუ ესწრებოდა, არ ვიცი.

რევაზ ნადო: სეიფში რა იდო?

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: არ ვიცი. რალაც ნივთები ჰქონდა ზურას. ოფიციალური დოკუმენტები. საჩუქრები, საათი, ჩემი პირადი ნივთები. მგონია რომ იქ იყო მძივები, რომლებიც ზურასთან ვიფონისას დამრჩა. ვიფონი სეიფში ექნება შენახული-თქო. ზურა ახალი გარდაცვლილი იყო, როცა კობა გავარდა და ეს ნივთები სეიფიდან ამოიღო.

რევაზ ნადო: ტურზე არსებულ დაზიანებაზე რას გვეტყვით?

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: არანაირი დაზიანება არ ჰქონია. ჯანმრთელი და საღსალამათი იყო. 41 წლის ჯანმრთელი კაცი იყო. ერთადერთი რაც ჰქონდა, ეს იყო ალერგია.

რევაზ ნადო: პრეზიდენტთან შეხვედრა გაიხსენეთ.

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: პირველივე შეხვედრაზე გვითხრა, გამოძიებას თავი დაანებეთ და რაც გინდათ, მთხოვეთო. როდესაც დავინწყეთ ჩხრეკა და გამოძიება, ეს არ მოეწონათ. მთელი სახელმწიფო მანქანა ამუშავდა იმაზე, რომ ყველაფერი დაემალათ ჩვენთვის. ჩვენ კი კბილებით გავიტანეთ ყველაფერი. ირინა, საწყალი გვირგვლიანის დედაც, მაგიტომ მოკვდა, ვერ გაუძლო. მე უბრალოდ ამის უფლება არ მქონდა, 3 შვილი მყავდა.

რევაზ ნადო: ხარშილაძეს სეიფის გასაღები საიდან აღმოაჩნდა?

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: ლოგიკურად, ეს გასაღები ზურას დაჰქონდა ხოლმე.

რევაზ ნადო: ინფორმაცია 10 მილიონის შესახებ, რომელსაც ხარშილაძეს მისცემენ, საიდან გაქვთ?

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: კობა ხარშილაძე იმდენი თქვენს ამ ბოლოს, მაგრამ მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ არაფერი ვიცი. ეს ინფორმაცია 10 მილიონზე პრესიდან მაქვს. გამგებლის მოადგილეც ხომ იყო. შეგიძლიათ თავად გადაამოწმოთ, რა ქონების პატრონია. იმდენი ტყუილი ითქვა, რომ ვედარ გავიგე, სად ტყუილია და სად სიმართლე. ეს „ბიროკი“ ზურას მონუქს არ ჰგავს. მაგიდაზე 1 სიგარეტი იყო, დნმ-ს ამბავიც არ ვიცი. უნდა წავიდე, გამიშვით, რა, ძალიან გთხოვთ, რაც ვიცოდით გითხარით....

გიორგი ბარამიძე ჩემს გვერდით ცხოვრობდა. პირველი კვირის გარდა, სანამ რაიმე გაირკვეოდა, მას ჩემს სახლში ფეხი არ შემოუდგამს. მათ მოსასვლელი პირი არ ჰქონდათ. ხათუნა გოგორიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, გიორგი ბარამიძე და გოკა გაბაშვილი არიან კარგი შემსრულებლები, ზურა რასაც ეტყოდა იმას აკეთებდნენ. თუმცა ზურას გარდაცვალების შემდეგ, რასაც სააკაშვილი ეტყვის, იმას აკეთებენ. მათ არანაირი ღირებულება არ აქვთ. ეგენი არ ხედავდნენ, ზურა რა პიროვნება იყო? ზურაბ ჟვანიას რჩევას არა მხოლოდ მისი მეგობრები, არამედ მტრებიც ეკითხებოდნენ. ხშირად გამიგია, რომ ზურას სააკაშვილი ურეკავდა და ეკითხებოდა, რა გაეკეთებინა.

ხარშილაძეს რამდენს მიუსჯიან ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. ადამიანურად მე ყველაფერი ვაპატიე. უბრალოდ პრეცედენტი ხომ უნდა არსებობდეს, რომ დანაშაული ისჯება და სამართალი არსებობს?

ერთვება დაცვის მხარე

ბექა ბასილია: როდესაც კობა ხარშილაძე შევიდა ფანჯარაში, თქვენ ესწრებოდით ამ ექსპერტიზას?

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: არ ვესწრებოდი.

ბექა ბასილია: თუ არ ესწრებოდით, მაშინ ამ დოკუმენტში რატომ არის თქვენი ხელმოწერა, რომ ესწრებოდით?

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: არა, ამ ექსპერტიზას არ ვესწრებოდი. არ მახსოვს, დამასრულებინე, ადამიანი არ ხარ? არ მახსოვს. შესაძლებელია ვესწრებოდი კიდევ რალაც ნაწილს, მაგრამ არა მთლიანად ექსპერტიზას. იქნებ ისიც მითხრათ, რომ დაცვის წევრებისთვის არც დამირეკავს? ეს საქმე რომ შეკეროლია და ვერაფერს ვერაფერს იგებს, ფაქტია.

ბექა ბასილია: შეგიძლიათ გაიხსენოთ, ბოლოს როდის ელაპარაკეთ?

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: ბოლოს 30-ჯერ მაინც დავურეკე. ისე, 12 საათისთვის ველაპარაკე ბოლოს. ჩვენი საუბარი 2-3 წუთი გაგრძელდა. მითხრა, შეხვედრაზე მივედივარო. სად-თქო, არ მიკითხავს. ტელეფონში ასეთ დეტალებზე არ ესაუბრობდით და იცით რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი საუბრები ისინივინებოდა.

ბექა ბასილია: როგორ ფიქრობთ, შეიძლება, თავისი ნებით გადაადგილებულიყო სადმე? მანქანაში ხომ გადაჯდა.

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: არ ვიცი, არ გამოვრიცხავ. რა იდიოტობებს მეკითხებით?

ბექა ბასილია: იდიოტობებს არ გეკითხებათ, ვალდეგული ხართ, ჩემს შეკითხვებს პასუხი გასცეთ. თმას ისწორებს, წყალს სვამს, დგება, სკამს ასწორებს... აგრძელებს...

საუბრობენ ძაძამიაზე და იმაზე, მართლა გამორჩეული იყო თუ არა.

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: ძაძამია დაცვაში ყველაზე სუსტი ნერტილი იყო. გამჭრიახობითაც არასდროს გამოირჩეოდა.

ბექა ბასილია: ფაქტია, რომ ზურამ ის ერთხელ სამსახურშიც ალადგინა.

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: ერთხელ კინალამ მანქანა გადაურუნდა. საჭე ვერ დაიმორჩილა და მე და ბავშვი კინალამ ავარიამო მოგვახვედრა. ზურამ სამსახურიდან დაითხოვა. მერე ზურას დედასთან მივიდა და ქალბატონმა რიმამ სთხოვა ზურას და სამსახურში ალადგინა თავიდან.

ბექა ბასილია: როგორ ფიქრობთ, იქნებ იმიტომ ალადგინა, რომ მან ისეთი რამ იცოდა, რაც თქვენ არ იცოდით?

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: რა გინდათ ახლა, რომ ეს ჩემი პირიდან ვთქვა? ეს სადიზმია. მე, მის მეუღლეს, ამაზე ლაპარაკი და შეურაცხყოფელი ტერმინების ხმარება არ მინდა.

ციხეში შესაძლოა ისეთი ადამიანი შეხვდეთ, მანამდე მხოლოდ ტელევიზიით რომ გინახავს და გგონია, ვერასოდეს, ვერსად გადახვდები. ეს, განსაკუთრებით, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს იყო თვალშისაცემი — პოლიტიკოსები, ექსპერტები, ბიზნესმენები, მომღერლები, საზოგადო მოღვაწეები ციხეში არავის უკვირდა. ჰოდა, ამიტომ, არც არის გასაკვირი, რომ ბევრ ცნობილ სახეს, რომლებიც ახლა თავისუფლებაზე არიან, „პრისტუპნიკი“ მეგობრები ჰყავთ და ამას არც მალავენ.

„მე და ცოტნე გამსახურდია ერთ წელს ვართ დაბადებულნი. როცა მამამისი პრეზიდენტი გახდა, ძალიან შემშურდა. მეც მინდოდა პრეზიდენტი მამა, მაგრამ მერე აღარ მშურდა, ნახევარი საქართველო მოსაკლავად რომ დასდევდა. ჰოდა, მაშინ რომ ეთქვა ვინმეს, მოვა დრო და შენ და ცოტნე ერთად ისხდებით ციხეში, არ დავიჯერებდი. უფრო სწორად, იმას არ დავიჯერებდი, რომ ციხეში მოვხვდებოდი, თორემ პრეზიდენტის შვილობა ისეთი საქმეა, ხან ციხეში იქნები და ხან კიდევ... რა ჰქვია იმ კუნძულებს?!“, — ეს საუბარი რუსთავის №17 ზონაში 2012 წელს გაიმართა და პატრიარქი №0578-ს ქუთაისელი ირაკლი ესაუბრებოდა.

„რომელ კუნძულებს, ირა?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„რომელს და ყველა რომ ისვენებს და, თუ ძმა ხარ, ირას ნუ მეძახი, ნამა ხომ არ ვარ? იკა დამძახე, ირაკლი, იკუშა... ირა რა უბედურებაა?!“

„კარგი, ბატონო ირაკლი, რომელ კუნძულებზე მკითხე, ჰავაიზე?!“

„ა, ბიჯო შტერი, ჰავაიზე ისვენებს ყველა?!“

„კუბაზე?!“ — გაუღიმა №0578-ს.

„შენ მართლა სულელი ყოფილხარ. კუბა კუნძული კი არა, სახელმწიფოა, ფიდელ კასტრო და რამე, ნიგინი უნდა იკითხო. გამახსენდა... მალდივები. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, პრეზიდენტის შვილი ან ციხეში მოხვდება, ან მალდივებზე-თქო და ეგ არის, რა. მე არ უნდა მოვხვედრილიყავი ციხეში, მე!“ — დაასრულა მონოლოგი ირაკლი.

„გაფიცვებ, რომელ ნიგინი ნაიკითხე, კუბა კუნძული რომ არ არის, მასწავლე და მალარიად ცოტნეს გადაცნობ. ხომ ვიცი, მინც მაგაზე ხარ ახლა მოსული“, — გაუღიმა №0578-მა.

„კარგი, მე არ მახსოვს, სად წავიკითხე და შენ რით ამტკიცებ, რომ კუბა კუნძულია?“ — ჩაეკითხა ქუთაისელი.

„მსოფლიო ატლასი არ მაქვს, განახო და ისე, თავისუფლების კუნძულს რომ ეძახიან კუბას, გაგონილი უნდა გქონდეს“, — გაუღიმა №0578-მა.

„ეგ კი მაქვს გაგონილი, მაგრამ მაგით რა მტკიცდება? აგერ, გურამა რომ არის გურული, მაგას ოზურგეთში ბოთეს ეძახდნენ მეტსახელად, აქ გახდა გურამიკა და რას მეუბნები

გიორგი გამსახურდიას „მსხვერპლის“ აღიარება



ახლა, გურამიკაა თუ ბოთე? „პაკრიშკის ნაბუქსავებს“ რომ უგავს სახე და შუშის თვლებით იყურება, ხომ ატყობ შენც?!“
„კარგი, რომ გახვალ თავისუფლებაზე, მონახე მსოფლიო ატლასი და ნახე კუბა. კასტრო ცოცხალი იქნება მანამდე და წერილიც მიწერე, თუ გინდა, შეერცხვი შენი ქვეყნის გულმისთვის ციხეში და კომპენსაცია მომეცი-თქო, ეგებ, ფული თუ არა, კუბური სიგარა მინც გამოგიგზავნოს. თან მანდ დიდ სიგარებს ამზადებენ თურმე და გამოგიგზავნი, ასე 25-სანტიმეტრიანი“, — გაუღიმა №0578-მა.

„აუფ, რა მაგარად ღადაობ... უძინარა მზე გვაქვს ნანახი და რამე?! ცოტნეს როდის გამაცნობ?!“ — საქმეზე გადავიდა ირაკლი.

„მაგის გაცნობა ასე მარტივად არ გამოვა. სუფრა უნდა გააწყოს, დაგვიძახო, მოვიდეთ...“

„მართლა გეკითხები, რა“, — ვედრება გაურია ხმაში ირაკლი.

„ცოტნე!“ — გასძახა №0578-მა პირველი პრეზიდენტის შვილი და მანაც ღიმილით გამოხედა. „მოდი, ერთი კარგი ქართველი უნდა გადაცნო, ირაკლი... ქუთაისელი... შენი კბილა ყოფილა“, — უთხრა ცოტნეს ღიმილით.

ირაკლი დაიბნა, ხელი ჩამოართვა, სასიამოვნოაო, თქვა, მერე ისევ უხერხულად გაიღიმა და ამ პროცედურის შემხედვარე ცოტნეც დაიბნა, ჯერ №0578-ს შეხედა, მერე ირაკლის და მშვიდად დაშორდა.

„ეგ იყო, ბიჭო, გაცნობა, მომზადებაც არ მაცადე? რას იფიქრებს ახლა ჩემზე?“, — გაბრაზდა ირაკლი.

„რა მომზადება გინდოდა? ნადი, თუ გინდა, წყალი გადავი-

ლე და ხელმეორედ გადაცნობ, დაბანილზე მაინც სხვა ფეხქტი ექნება“, — გაუღიმა №0578-მა.

„საქმე მაქვს მაგ კაცთან, საქმე“, — გაბრაზებით თქვა ირაკლიმ და წავიდა.

მეორე დღით ცოტნე №0578-თან ერთად „პლაცზე“ სეირნობდა, როცა მათ ირაკლი უხერხული ღიმილით აედევნა.

„საქმე მაქვსო, გუშინდელს მერე იძახის ეს კაცი და მოუსმინე, თუ დრო და სურვილი გაქვს“, — გაუღიმა ცოტნეს №0578-მა.

„დრო მკვდარს არ აქვს იმდენი, ჩვენ რომ გვაქვს და სურვილს რაც შეეხება... მიდი, გისმენ“, — ცოტნემაც გაიღიმა.

„მე ციხეში არ უნდა ვიჯდე, ბატონო ცოტნე“, — გაუბედავდა დაიწყო ირაკლი.

„მოდი, ბატონობით არ გვინდა. სახელეებით მივმართოთ ერთმანეთს, თანაბარი ვართ ყველა აქ“, — გაანყვებინა ცოტნემ.

„მაგ მიმართვას კი ეშველება, მაგრამ ამას რა ეშველება, ამ უბედურს. ბიჭო, ეს შენ სახალხო დამცველი ხომ არ გგონია, რომ ეწინააღმდეგები, აქ არ უნდა ვიჯდეო? შეწყალება დაგინეროს თუ უდო შეგახოს?!“ — გაუღიმა №0578-მა.

„შენ ნუ იცი ხოლმე ყველაფრის გამასხარავება. ამან დამიჭირა მე და ამასთან ვჩივი მაგიტომ“, — დააკონკრეტა ირაკლი.

ახლა უკვე ცოტნეს და №0578-ის გაცნობის ჯერი დადგა. „მე დაგიჭირე?“ — სიბრაზით ცოტნეს ნიკაპი აუკანკალდა.

„არა, მთლად შენ არა, მაგრამ გიორგიმ დამიჭირა, შენმა ძმამ. მერე, განყოფილებაში რომ მიმიყვანა, სეიფი გააღო, თავი შემეყოფინა და იმდენ ხანს აბრაზუნა კარი ჩემს თავზე, სანამ გონება არ დავკარგე. არადა, მართლა არაფერი დამიშავებია“, — ჩაარაკრაკა ირაკლი.

„მერამდენედ ამბობ, არაფერი დამიშავებიაო და რაზე ზიხარ?“ — ჰკითხა №0578-მა.

„საქეფოდ ვიყავით, ძმაკაცებთან ერთად, მეტრო „ღრმა-ღრმისთან“. აგვიშარდა ვილაც და გაფუჭებული იარაღი მელო ქამარში. ექსპერტიზამაც დაადასტურა, რომ იმ იარაღიდან საუკუნეა არავის უსროლია და კიდევ საუკუნე ვერავინ გაისვრის. ჰოდა, იარაღის უკანონო ტარება ხომ შემეტენეს და კიდევ სხეულის განზრახ დაზიანება. სამართალია ახლა ეს?!“ — იკითხა ირაკლი.

„კი, მაგრამ, მე რა შუაში ვარ?!“ — გაოცდა ცოტნე.

„მინდა, იცოდე... შენც რომ იცოდე, უსამართლოდ რომ ვზივარ“, — უთხრა ირაკლი.

„კარგი, მეცოდინება“, — გაეღიმა ცოტნეს და სეირნობა გააგრძელა.

„ჰოო!“ — თავისთვის თქვა №0578-მა.

„რა ჰოო?!“ — ჩაეკითხა ირაკლი.

„ახლა ვხვდები, რატომ არ გჯერა, რომ კუბა კუნძულია და ზოგადად, რატომ ხარ ასეთი გამოთავყვანებული“, — დაბეჯითებით უთხრა №0578-მა.

„რატომ?!“

„იმ სეიფის კარის და გიორგი გამსახურდიას ბრალი ყოფილა. გამოგიყარა თავიდან მთელი ცოდნა. კიდევ კარგი, პირველ „სროკზე“ ხარ, თორემ მეორე-მესამე დაჭერა რომ იყოს, საერთოდ არაფერი გექნებოდა თავში“, — გაუღიმა №0578-მა.

„მეგონა, ცოტნე აღმოთვალეოდა, დარეკავდა, გიორგის დაანამუსხვდა...“ — ჩუმად თქვა ირაკლი.

„მერე მეუბნები, ირას რატომ მეძახი? ირა ხარ, აბა, რა ხარ, ასეთი ფიქრები რომ განუხებს. კაცი იძახის, ძმა არ მყავსო და ახლა შენი გულისთვის დაურეკავს და ნოტაციებს ნაუკითხავს, მეტი საქმე არ აქვს, რა. შენ ის მითხარი, მარტო გცემდა თუ სხვებთან ერთად?!“

„მარტო. რომ ვუთხარი, გიცანი, გიორგი გამსახურდია ხარ-მეთქი, უფრო მოუმატა ცემას და სანამ არ მათქმევინა, ვეღარ გცნობო, არ მომეშვა. ჰო, წყლით სავეს პლასტმასის ბოთლები მირტყა კიდევ თავში და თითებში „დუბინკაც“ არ დამამაღლა“, — ბოლომდე თქვა ირაკლი.

„და რომ გახვალ, გამართე პრესკონფერენცია და მოყვი ყველაფერი“, — ურჩია №0578-მა.


„ჰოდა, დამიჭერს მერე კიდევ გიორგი და მართლა იმდენს მცემს, პრესკონფერენცია კი არა, კუბის კუნძულის ამბავს მალიარებინებს“, — გაეცინა ქუთაისელს.

„მაგას გიორგი კი არა, მსოფლიო ატლასი უნდა, იდიოტო და უცემრადაც აღიარებ“, — უთხრა №0578-მა.

„კი ყოფილა კუნძული კუბა, მაგრამ... მინც არ უნდა ვეცემე გიორგის, არ ეკადრება პრეზიდენტის შვილს ასე მოქცევა“, — ეს სიტყვები ირაკლიმ №0578-ს უკვე თავისუფლებაზე უთხრა.

პერსონიუსი

შსს-მ თბილისსა და ბათუმში კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო-საგამომძიებო ღონისძიებები ჩაატარა



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს, შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის, შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს და საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა, თბილისსა და ბათუმში კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამომძიებო ღონისძიებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1967 წელს დაბადებული შერიფ ზ. კომპიუტერული მონაცემის უნებართვო შეცვლისა და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების ბრალდებით დააკავეს, ხოლო ამავე დანაშაულზე საქართველოს მოქალაქეს, 1989 წელს დაბადებულ გიორგი ბ-ს ბრალი წაუყენეს.

გამომძიებამ დაადგინა, რომ შერიფ ზ-მ და გიორგი ბ-მ კომპიუტერული მონაცემების მოწყობილობა ე.წ. სიმ ბოქსი შეიძინეს. აღნიშნულ კომპიუტერულ მონაცემ-ლობაში, რომელშიც ინტერნეტ ტრაფიკის მეშვეობით საერთაშორისო ზარები მოქმედებდა, მონაწილეობდა „ჯეოსელის“, შსს „მაგთიკომის“ და შსს „ბილიანის“ სიმ-ბარათებს. სიმ-ბარათების მეშვეობით ინტერნეტ ტრაფიკით მიღებული ზარები გარდაიქმნებოდა და საბოლოო ობიექტთან ხორციელდებოდა, როგორც შიდა, ანუ ლოკალური ზარი. ე.წ. სიმ ბოქსი ზარის მიმღებს აწვდიდა იმ ნომრის მონაცემებს, რომლებიც სიმ ბოქსში იყო მოთავსებული და არა რეალურად ზარის წამოწყების ნომერს. შეცვლილი კომპიუტერული მონაცემების შედეგად, ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიები საერთაშორისო ზარების მომსახურების კანონით დადგენილი ქვედა ზღვრული ტარიფის ნაცვლად იღებდნენ გაცილებით ნაკლებს — ლოკალური ზარებისთვის განსაზღვრულ მინიმალურ თანხებს. ბრალდებულებმა ჩადენილი ქმედებით შსს „ჯეოსელის“, შსს „მაგთიკომის“ და შსს „ბილიანის“ ჯამში 95 ათასი ლარის ოდენობის ზარალი მიაყენეს. სამართალდამცველებმა ბათუმში, შერიფ ბ-ს საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: ე.წ. სიმ ბოქსი, შსს „ჯეოსელის“, შსს „მობიტელისა“ და შსს „მაგთიკომის“ 5000 ცალი სიმ-ბარათი, თანხის დაუფლების ამსახველი დოკუმენტაცია და სხვა ჩანაწერები. პოლიციამ თბილისში, გიორგი ბ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ე.წ. სიმ ბოქსი და სიმ-ბარათები ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება მიმდინარეობს კომპიუტერული მონაცემის უნებართვო შეცვლისა და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ის 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით).

„ვერსიონისი“

შსს-მ მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის ფაქტზე სამი პირი დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამომძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამომძიებო ღონისძიებების შედეგად, საქართველოს მოქალაქეები: 1980 წელს დაბადებული ვიტალი შ, 1987 წელს დაბადებული გელა ლ. და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1989 წელს დაბადებული ნაზიმ კ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობის ბრალდებით ახალციხის რაიონში დააკავეს, ხოლო რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ტაისია კ-ს ბრალი წარედგინა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ვიტალი შ. და გელა ლ. გარკვეული თანხის სანაცვლოდ, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას და ნაზიმ კ-ს და ტაისია კ-ს მცირეწლოვანი შვილებთან ერთად საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით გადაყვანას ცდილობდნენ. გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ორი ან მეტი მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-344-ე პრიმა-1 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამომძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.



„ვერსიონისი“

ფიროსმანის რეპროდუქციები მტკვრის ჯებირებზე



ვინ არის იდის ავტორი და რას ჰასუბობს მერიის არქიტექტურის სამსახური აღშფოთებულ მოქალაქეებს

ენი ჯაფარიძე
571-17-00-02

ნიკო ფიროსმანის სამ ცნობილ რეპროდუქციას: „გოგონა საპაერო ბუშტით“, „ფირაფი“ და „მეთევზე“ მტკვრის ჯებირიდან სულ რაღაც 1 მეტრის დაშორებით განათავსეს. პროექტის ერთ-ერთი ავტორი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ამ გზით მათ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სურდათ: „მტკვარი ჩვენი ქალაქის ნაწილია და არა ნაგვის ბუდე. პროექტის მიზანი კი გარემოს დაცვა იყო“.

ამ ერთი შეხედვით უმტკივნეულო და უწყინარ იდეას, საზოგადოების ნეგატიური რეაქცია მოჰყვა. სოციალურ ქსელში ერთი ამბავი ატყდა. მაგალითად, საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა **სალომე ზურაბიშვილმა**, აცეხოკი-ის გვერდზე დაწერა: „პასუხისმგებლობას უნდა მივეჩვიოთ და ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც ამას იგონებს და ახორციელებს, მან თამამად ხელიც უნდა მოაწეროს. თავისთავად, იგულისხმება მერი და ქალაქის მოწყობის სამსახურის უფროსი... მაგრამ ამავე დროს, თვით ავტორი ვაგვაცნით, რათა მისი სახელი არ დაგვავინცდეს არასოდეს!!! შესაძლოა შერცხვეს, ან მის შვილებს ოდესმე შერცხვებო!“

მტკვრის ჯებირებზე ფიროსმანის ნახატების აღმოჩენამ, მოქალაქეები აღაშფოთა და მათაც არ მორიდებით მწვავე პოზიციების დაფიქსირება. „ვერსია“ რამდენიმე მათგანის პოზიციას გთავაზობთ:

გოგა გელაშვილი: „ეს რა არის, მტკვარი გაალამაზე? კანალიზაციის მილებთან? რა საშინელებაა, სირცხვილია. რომელ ცივილიზებულ ქვეყანაში დაკიდებენ გამოჩენილი მხატვრის რეპროდუქციას კანალიზაციის მილთან?“

მარიკა ლაფაური: „თბილისის მერო, რა არის ეს? ახლა აქაც აკონწიალეთ ფიროსმანი. მერე აეროპორტში „გადილანეთ“ რუსთაველის ინსტიტუტი. ვინ იგონებს ამას? გამოდით, დავეხსენებო. თქვე საშუალებით გოიმებო!“

ხათუნა თემრიყაშვილი: „ეს რა არის? ნუთუ ასე შეგვერყა ქართველებს გემოვნება? რა უნდოდათ ამით ეთქვათ? მე ვერაფერი ვაგვიგე. როგორც ჩანს იყიდება?“

თემო გობრონიძე: „გაუგონარი ამბავი ხდება, ეს სურათები მეც უნახე, მეგონა მომეჩვენა, მერე ვიფიქრე, რომ გაყიდვად უნდოდათ. რა არ ვიფიქრე, მარა რისთვის გააკეთეს აქ, ვერ ვაგვიგე. თან კანალიზაციის მილთან. ამას მარტო ჩვენ თუ მოვიფიქრებდით“.

„ვერსია“ შეეცადა გაერკვია, როგორ აღმოჩნდა ფიროსმანის რეპროდუქციები მტკვრის ჯებირებზე, ვინ იყო იდის ავტორი, ორგანიზატორი და რატომ მოიწონა პროექტი ქალაქის მერიამ — ნებართვა მერიის არქიტექტურის სამსახურმა გასცა. თუმცა პრესცენტრში განგვიმარტეს, რომ საზოგადოების ასეთ ნეგატიურ გამოხმაურებას არ ელოდნენ. „ვერსია“ მერიის არქიტექტურის სამსახურის პრესცენტრის წარმომადგენელს, **თათული ფალავას** ესაუბრა.

— სამწუხაროა, რომ საზოგადოებამ ასე ნეგატიურად შეაფასა ეს პროექტი. ამ პროექტის იდეა იყო, მტკვარი არ დაბინძურებულიყო. არ გვეგონა, თუ მას ასეთი უკმაყოფილება მოჰყვებოდა.

— როდის შემოვიდა შესაბამისი განაცხადი და იყო თუ არა დაკონკრეტებული ადგილი, სადაც რეპროდუქციები უნდა დაემონტაჟებინათ?

— განაცხადი, ვალაკტიონის ხიდის მიმდებარედ, ცნობილი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის რეპროდუქციების გამოფენასთან დაკავშირებით, 14 მაისს შემოვიდა. არქიტექტურის სამსახური არ იყო წინააღმდეგი, ეს პროექტი განხორციელებულიყო და გასცა წერილობით თანხმობა.

— იყო თუ არა წერილობითი ნახსენები კონკრეტული ადგილი, სადაც ნახატები უნდა დაემონტაჟებინათ?

— წერილობით ენერა, რომ ნახატები ვალაკტიონის ხიდის მიმდებარედ უნდა გამოეფინათ. მტკვარში ნახატების გამოფენა დანაშაულია? ვერ მივხვდი, რას გულისხმობთ. ახლა ხელთ მაქვს ის წერილი, სადაც წერია, რომ არქიტექტურის სამსახური არ არის წინააღმდეგი ამ საშუალების ჩატარების. წინამორბედ წერილში შესაძლოა კონკრეტულ ადგილზეც ყოფილიყო საუბარი.

— სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოებში ჩანს, რომ რეპროდუქციები მილებს შორისაა დამონტაჟებული.

— არქიტექტურის სამსახურს ამაში მონაწილეობა არ მიუღია. ჩვენ მხოლოდ თანხმობა გავეცით. უფრო სწორად, განვაცხადეთ, რომ წინააღმდეგები არ ვიყავით. არქიტექტურის სამსახური იმ ჯგუფს ტექნიკურად არ დახმარებია. ვინ გააკეთა და როგორ, არ ვიცით და ამის ცოდნა არც შედის ჩვენს კომპეტენციაში.

— პროექტს საკმაოდ ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა. ამის ფონზე ის მაინც გაგრძელდება?

— წინასწარ ვერ გეტყვით, თუმცა საზოგადოების აზრს ალბათ გავითვალისწინებთ.

„ვერსია“ იდის ავტორებსაც დაუკავშირდა. მათი განმარტებით, ერთადერთი მიზანი გარემოს დაცვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იყო. რატომ მოჰყვა ამ პროექტს საზოგადოების აგრესია და უკმაყოფილება, მათთვის გაუგებარია. იდის ერთ-ერთი ავტორის, ვაჟა თოფურიძის განმარტებით, მსგავსი პროექტები მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშიც ხორციელდება და ასეთი „გამოფენები“ ჩვეულებრივი მოვლენაა: „პროექტის კონცეფცია ის იყო, რომ საზოგადოებამ მტკვარს უნდა შეხედოს არა როგორც ნაგვის ბუდე, არამედ როგორც ხელოვნების ნიმუშს და არ დაბინძურდეს. პროექტზე რამდენიმე ადამიანი ვმუშაობდით. ხელოვნური ვარ. პროექტის მიზანი არ ყოფილა ვინმეში აგრესიის გამოწვევა. ის ადამიანები, ვინც პროექტს აკრიტიკებენ, ქალაქის დისკრიმინაციას ენევიან და არაფერი უხარიათ. სამწუხაროა, რომ ვერ დიანახეს ის, რისი გადმოცემაც ვინდოდა. მსგავსი პროექტები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ტარდება. პარიზში ეიფლის კოშკი რომ დადგეს, არც ის მოსწონდა ხალხს. არ გავკადნიერდები და თავს არავის შევადარებ, მაგრამ ჩვენ სიკეთის გაკეთება ვინდოდა და კარგი იქნება, თუ საზოგადოება ამას დიანახავს. ისეთი ბევრია, ვისაც მოსწონს ეს იდეა. ფოტოებს იღებენ. ცნობილი ადამიანებიც მიკავშირდებიან და მეუბნებიან, რომ ეს ძალიან კარგი იდეაა. ადგილიც სპეციალურად შევარჩიეთ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო. ჭორია, თითქოს რეპროდუქციები კანალიზაციის მილებს შორისაა დამონტაჟებული. ეს ჩვეულებრივი სანალიზერ მიღებაა. სტიქიის შემდეგ ნახატები ცოტათი დაბინძურდა, თუმცა აუცილებლად გავწმენდით. შესაძლებელია, მსგავსი პროექტები შემდგომშიც გავაგრძელოთ. დღეს ფიროსმანია, ხვალ შეიძლება სხვა მხატვრის ნახატები წარმოვადგინოთ. ეს ყველაფერი კეთდება კანონის დაცვით“.

რადგან მოქალაქეების აღშფოთება ყველაზე მეტად იმ ფაქტმა გამოიწვია, თითქოს ფიროსმანის რეპროდუქციები კანალიზაციის მილთანაა ახლოს, „ვერსია“ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდსაც“ დაუკავშირდა. „წყალკანალიზაციის განვითარებას, რომ კონკრეტულ ადგილას მათი ქსელი არ გადის, ვიზუალურად კი, ეს მილები, საკანალიზაციოს არ გაქვს, რადგან კანალიზაციის ქსელი მიწის ქვეშ გადის. რაც შეეხება კანალიზაციის ჩადინებას მტკვარში, როგორც კომპანიაში აცხადებენ, მათ დიდი საშუალებები გაწიეს, მილები მთლიანად გამოცვალეს და მდინარეში კანალიზაციის ქსელი არ ჩაედინება.“



ჰიპერმარკეტ „გორგიაში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად 11 ადამიანი დაშავდა

ჰიპერმარკეტ „გორგიაში“ ხანძარი 16 ივლისს დილით გაჩნდა. ადგილზე, სახანძრო და სასწრაფო დახმარების ბრიგადები იყვნენ მობილიზებული. ადგილზე იმყოფებოდა სამი სახანძრო ბრიგადა. ხანძრის ლიკვიდირება მალევე გახდა შესაძლებელი. იყო დიდი გაკვამლიანება.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული წყალი პირველ სართულზე ჩავიდა და ავეჯის განყოფილებებს აზიანებდა, რის გამოც რამდენიმე თანამშრომელი შევიდა და მათ გაკვამლიანების შედეგად ჟანგბადის მინოდება დასჭირდათ.

„გორგიაში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად 11 ადამიანი დაშავდა. სასწრაფო დახმარების პრესსამსახურის ინფორმაციით, დაშავებულები სხვადასხვა საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათი უმეტესობის დიაგნოზი მწვავე ინტოქსიკაციაა.

ხანძრის გამომწვევი ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია თუმცა, არსებობს ვერსიები. „ბი ემ სი გორგიას“ ინფორმაციით, ხანძარი ჰიპერმარკეტის მეორე სართულზე გაჩნდა. ჰიპერმარკეტ „გორგიას“ კომუნიკაციების მენეჯერის, გიორგი ბახუტაშვილის ინფორმაციით, ხანძრის გამომწვევი მიზეზი, სავარაუდოდ, ელექტროგაყვანილობა გახდა. დარბაზი, სადაც ხანძარი გაჩნდა, ავეჯის განყოფილება იყო. მისივე ინფორმაციით, სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია დიდი მასშტაბის კვამლი.

„გორგიას“ კომუნიკაციების მენეჯერის თქმით, ზარალის შესახებ ინფორმაცია ამ ეტაპზე არ აქვს და ზარალს შესაბამისი სამსახური დაადგენს.

„ვერსიანიუსი“

მაშველებმა ლენტეხის რაიონის სოფელ ბენიერში 4 დაკარგული ტურისტის იპოვეს



შს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მაშველებმა, წარმატებით ჩატარებული ღონისძიების შედეგად, ქვემო სვანეთში, ლენტეხის რაიონის სოფელ ბენიერში 4 დაკარგული ტურისტის იპოვეს.

შს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში შევიდა შეტყობინება, რომ ჩეხეთის მოქალაქეები გზას ვეღარ განაგრძობდნენ და ითხოვდნენ შველას.

ადგილზე დაუყოვნებლივ გავიდნენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ცაგერის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მებანძრე-მაშველები. აღნიშნულ სამაშველო ოპერაციაში დამატებით ჩართო სააგენტოს განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამმართველოს 10-კაციანი ჯგუფი.

აღნიშნული ღონისძიების შედეგად, ტურისტები უვნებლად გადაიყვანეს უსაფრთხო ადგილზე.

„პირველი“



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

9x9 grid puzzle (Easy)

9x9 grid puzzle (Standard)

9x9 grid puzzle (Hard)

9x9 grid puzzle (Expert)

სოციალური ქსელი მოწინმუნეთათვის



ბრაზილიაში, მონუმენტი ევანგელისტ-ქრისტიანებმა ახალი სოციალური ქსელი...

ქსელის შექმნა, სადაც მხოლოდ სიყვარულზე, ღმერთსა და მისი სიტყვის გავრცელებაზე...

ყველაზე ძვირი პასტა მოამზადეს

ნიუ-იორკში, მანჰეტენზე მდებარე იტალიურმა რესტორანმა Bice...



რომლითაც ის მიაქვთ კლიენტთან — თავის დროზე მისი ექსკლუზიური დიზაინი...

წინა ნომერი გასული სკანორდისა და სულოკუს პასუხები

9x9 grid puzzle (Easy)

9x9 grid puzzle (Standard)

მე-10 გვერდი: 1. აზარტი; 2. ზეფირი; 3. რულეტი; 4. პლემბი; 5. ლაზერი; 6. ბონუსი; 7. ისტებლიმენტი; 8. ეტიკეტი; 9. ხალიფა; 10. უზანგი; 11. ტროტუარი; 12. რასტრი; 13. ინტერი; 14. ავიეტი; 15. სიტი; 16. ტრივიალური; 17. ლიხვი; 18. ტირი; 19. ირმისა; 20. ბრაილი; 21. ლაიტმოტივი; 22. ესკორტი; 23. ადიუტანტი; 24. რობინია; 25. ლარა ფაბიანი; 26. იაგანი; 27. ური; 28. კვარტალი; 29. აინი; 30. მია; 31. კამეა; 32. „ლატაგრა“; 33. რიგა; 34. გვრიტი; 35. იდიოტია; 36. აბაი; 37. ენა; 38. შუ; 39. ფული; 40. ატამი; 41. ბიეფი; 42. იფიგენია; 43. ნისია; 44. ნოქარი; 45. ტუნდრა; 46. ეა; 47. ალტი; 48. ინოკენტი; 49. კლერიკალი; 50. სპინოზა; 51. „სოტბი“; 52. ქიაჩელი; 53. ირი; 54. პრალინე; 55. ოლიფა; 56. ტაში; 57. საინი; 58. ბერსაბე; 59. შოპენი; 60. კიჩო; 61. პლანშე; 62. აბი; 63. ეკი; 64. გროგი; 65. „კია“; 66. კლინტი; 67. ნეკი; 68. უპე; 69. ელვა; 70. ზარზმა; 71. ლუზა; 72. კამპო; 73. ანიონი; 74. ვან; 75. ნეი; 76. ინია; 77. ნაია; 78. რუ; 79. კაი; 80. ბპო; 81. მატლი; 82. ლი.

9x9 grid puzzle (Hard)

9x9 grid puzzle (Expert)

მე-12 გვერდი: 1. სკანერი; 2. კლასონი; 3. ნატურა; 4. რიფი; 5. ერუდიცია; 6. რეგლამენტი; 7. დეტონატორი; 8. ცეზიუმი; 9. მასტიფი; 10. ეკო; 11. იმაგო; 12. აბუჯა; 13. ეგოტრიზმი; 14. დი; 15. ანიმე; 16. სილა; 17. ბამაკო; 18. მიანმა; 19. რუანდა; 20. „ოს-ერი“; 21. რეიდი; 22. ცეზიუმი; 23. „ონა“; 24. უნა; 25. კურარე; 26. „ტილია“; 27. ოსკარი; 28. ურანია; 29. ბლუ; 30. კურანტი; 31. რუისი; 32. მოუნე; 33. ენტერტი; 34. უთო; 35. ჯაგი; 36. ადამი; 37. რეი; 38. ანეტო; 39. ათი; 40. „იმედი“; 41. არკა; 42. სადილი; 43. ტოკატა; 44. სურა; 45. ამაღე; 46. ნოინი; 47. აკოლადა; 48. ოდა; 49. შიო; 50. ინია; 51. ამატი; 52. ოინი; 53. ნეტო; 54. ისაკი; 55. ასი; 56. მურაბა; 57. კოლიე; 58. ამარეტო; 59. პლანშე; 60. მადა; 61. სკა; 62. კლიტი; 63. კლიო.

პლასტმასის გზებს დააგეგნენ



ჰოლანდიური კომპანია VolkerWessels-ის თანამშრომლებმა გზების მშენებლობაში ინოვაციური წინადადება წამოაყენეს. მათი თქმით, სავტომობილო გზების ასენება პლასტმასისგანაც შეიძლება. ერთი შეხედვით, ასეთი წინადადება უცნაური და მიზანშეწონილია, თუმცა კომპანიაში ამტკიცებენ, რომ გზების ასეთი საფარი სახელმწიფოს იაფიც დაუფდება და უფრო მტკიცეც იქნება. პლასტმასის სწორი გადამუშავებისას მას არც კოროზია ემუქრება, არ ფუჭდება გარეგანობის ზემოქმედებით და შეუძლია -40 გრადუსიდან +80 გრადუს ტემპერატურას გაუძლოს. აღსანიშნავია ისიც, რომ პლასტმასის გზები სამჯერ მეტხანს გაძლებს, ვიდრე ასფალტისა. ამ უცნაური წინადადებით როტერდამის მუნიციპალიტეტი დაინტერესდა და შესაძლოა, ახლო მომავალში იქ პლასტმასის გზები ვიხილოთ.

ვერსია logo and contact information: მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7. e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge UDC(უაპ)070.48.32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი: მაია ფურცელაძე (599) 62-88-77 პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი მმართველი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინო ჯაფარიძე. სტილისტი - ნინო ებანოძე დიზაინერი - გიორგი ლომსაძე ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699 barcode and text: დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

